საბჭოთაო მეცნიერებათა
აკადემია

ფოთლის სტრუქტურული პლასტიურობის რაოდენობრივი მაჩვენებლები (მკრონების)

საკლავო თიხეები	ვადა	ზედა მხ- ღერძის უ- რჯის სი- მაღლე	ფესვისებრი პარენქიმის სიგრძე	ნარბული- ბრი პარენ- ქიმა სისქე	სტრუქტურ- ბრი პარენ- ქიმის უგრე- დი სიგრძე	ვერტიკალურ- მისი უგრე- დის სიმაღლე	ფოთლის სიმაღლე
კიროვადის სუფრის	I	20,9	76,0	107,2	21,6	22,8	226,9
	II	22,8	82,0	107,7	24,4	22,8	235,3
	III	24,7	86,0	127,3	22,8	23,6	261,6
	IV	22,0	91,2	89,0	22,8	22,8	225,0
	საშუალო	22,6	83,8	107,8	22,9	23,0	237,2
ილექსანდრიული მუსკატის	I	19,0	82,1	111,7	22,8	18,2	231,0
	II	22,3	87,6	110,2	22,8	19,0	250,1
	III	22,7	106,8	120,6	23,5	19,8	269,5
	IV	18,9	114,8	121,6	20,9	22,9	278,2
	საშუალო	20,7	100,7	113,8	23,0	20,0	257,2
ქართლის მშვენება	I	22,8	74,1	107,8	15,2	17,1	221,8
	II	23,4	82,0	112,0	20,9	24,8	242,2
	III	23,5	83,0	120,4	27,7	25,0	251,9
	IV	24,0	85,0	120,7	29,6	25,5	258,2
	საშუალო	23,4	81,8	115,2	23,3	23,1	243,4
ნობათი	I	24,7	64,6	128,4	20,5	23,8	241,5
	II	25,3	74,1	120,0	22,8	24,0	243,6
	III	25,8	97,1	125,4	24,7	26,2	274,5
	IV	26,7	100,2	125,4	22,8	26,8	279,1
	საშუალო	25,7	84,0	124,8	22,7	25,2	259,7
დიდმტევანა	I	22,8	66,6	104,2	23,6	22,0	215,6
	II	23,5	78,0	106,0	24,7	22,8	230,3
	III	24,6	88,2	110,6	20,9	24,4	247,8
	IV	25,6	90,0	110,8	24,7	24,8	251,2
	საშუალო	24,1	80,7	109,9	23,5	23,5	236,2
ვარდისფერი	I	19,0	66,0	83,8	17,1	22,0	190,8
	II	22,1	74,1	120,2	23,6	22,9	239,3
	III	20,9	80,2	120,4	24,7	23,6	245,1
	IV	20,0	64,5	119,9	25,8	23,6	228,0
	საშუალო	20,5	71,2	111,1	22,8	23,0	225,1

პიბრიდი ქართლის მშვენება ფოთლის სისქით კიროვადის სუფრის ჯიშს უფრო უახლოვდება, ვიდრე ალექსანდრიულ მუსკატს. იგივე შეიძლება ითქვას მესრისებრი პარენქიმის შრის სისქის მიმართაც, რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს პიბრიდი მეტად ემსგავსება კიროვადის სუფრის ჯიშს.

პიბრიდი დიდმტევანაც ფოთლის სისქის მხრივ კიროვადის სუფრის ჯიშს უახლოვდება, თუმცა მას ფოთლის ზედა ეპიდერმისის სიმაღლე უფრო მეტი აქვს, ვიდრე მშობელ ეგზემპლარებსა და პიბრიდ ქართლის მშვე-



ნებას. მსგავსად კიროვაბადის სუფრის ჯიშისა მესრისებრი პარენქიმის უჯრედები აქ უფრო გრძელია, ხოლო ღრუბლისებრი-პარენქიმა კი შედარებით მკვრივ და თანაბარი ზომისაა, რაც შეეხება ქვედა ეპიდერმის უჯრედების მხრივ აქ დიდი განსხვავება არ შეინიშნება (ცხრ. 1).

ჰიბრიდი ნობათი ფოთლის სისქის მხრივ მშობელ ალექსანდრიულ მუსკატს ჰგავს, ვინაიდან იგი კიროვაბადის სუფრის ჯიშის ფოთლებთან შედარებით უფრო სქელია. ზედა ეპიდერმისის უჯრედები სიმალით (25,7 მიკრონი) აშკარად აღემატება როგორც მშობელ ეგზემპლარებს, ისე ჰიბრიდების ქართლის მშვეენებისა და დიდმტევანას ეპიდერმისის უჯრედთა ზომებს. მესრისებრი პარენქიმა ღრუბლისებურთან შედარებით უფრო ნაკლები სიგრძით (84,0 მიკრონი) ხასიათდება, რის გამოც, მისი ფართობი ღრუბლისებრი პარენქიმის ფართობზე საგრძნობლად ნაკლებია. ნობათის ფოთლების ქვედა ეპიდერმისის უჯრედების სიმაღლე გაცილებით მეტია, ვიდრე მშობელი ეგზემპლარებისა და გარჩეული ჰიბრიდების ფოთლის საერთო სისქის მხრივ ნობათი მეტ მსგავსებას მშობელ ალექსანდრიულ მუსკატთან იჩენს.

ჰიბრიდი ვარდისფერი ფოთლის სისქის მიხედვით თითქმის ისეთივეა როგორც კიროვაბადის სუფრის ჯიში. კიროვაბადის სუფრის ფოთლის მსგავსად ამ ჰიბრიდის ფოთლის სისქე მნიშვნელოვნად ნაკლებია ჰიბრიდების — ქართლის მშვეენების, ნობათის და დიდმტევანას (ცხრ. 1), ფოთლის სისქეზე. ზედა ეპიდერმისის უჯრედების სიმაღლე აქ თითქმის ისეთივეა, როგორც მშობელ ეგზემპლარებში, ხოლო რამდენადმე ჩამორჩება ჰიბრიდების ქართლის მშვეენების, ნობათისა და დიდმტევანას ეპიდერმისის უჯრედების სისქეს. ჰიბრიდი ვარდისფერის ფოთლების მესრისებრი პარენქიმის სისქე (71,2 მიკრონი) მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე მშობელი ეგზემპლარებისა და ჰიბრიდების ქართლის მშვეენების, ნობათისა და დიდმტევანას ფოთლების სისქე; ღრუბლისებრი პარენქიმა (111,1 მიკრონი) კი მეზოფილში შედარებით მეტ ფართობს იკავებს, ვიდრე მშობელი კიროვაბადის სუფრისაში, ხოლო ნაკლებს, ვიდრე მეორე მშობელში.

მეკროსკოპული შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ კიროვაბადის სუფრის ფოთლის ეპიდერმისის ფართობის ერთეულზე (15 სმ×12 სმ-ზე) ეპიდერმისის უჯრედებისა და ბაგეების საერთო რაოდენობა, ვეგეტაციის პირველ ვადაში, გაცილებით მეტია, ვიდრე ვეგეტაციის ბოლოს (მეოთხე ვადა). ამასთან ერთად შეინიშნება, რომ პირველი ვადის ბოლოსათვის ფოთლის ეპიდერმისის უჯრედები უფრო პატარა ზომისაა, რის გამოც ფოთლის ფართობის ერთეულზე მშობელ კიროვაბადის სუფრის ჯიშზე 13 ბაგე მოდის მაშინ, როდესაც აგვისტოს ბოლოსათვის (მეოთხე ვადა) ეპიდერმიალური და ბაგეების უჯრედთა



ზომები მატულობენ, რისთვისაც ფართობის ერთეულზე 7 ბაგე აითვლება (ცხრ. 2).

ალექსანდრიული მუსკატის მეზოფილი პირველ ვადაში ზომის უჯრედებისაგან შედგება, რისთვისაც მსგავსად მშობელი კიროვაბადის სუფრის ჯიშის მეზოფილისა, ფართობის ერთეულზე უჯრედთა და ბაგეთა მეტი რაოდენობა შეინიშნება, ვიდრე ვაზის განვითარების ბოლო ვადაში (ცხრ. 2).

პიბრიდი ქართლის მშვენიება. ამ პიბრიდის მეზოფილიც, მართალია წვრილი უჯრედებისაგან შედგება, მაგრამ მისი სიმჭიდროვე და ზომები ფართობის ერთეულზე ვეგეტაციის ბოლომდე თითქმის უცვლელი რჩება, სამაგიეროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მშობელ ეგზემპლარებთან შედარებით, მას პატარა ზომის უჯრედები ახასიათებს. ამ მხრივ ეს პიბრიდი მეტ მსგავსებას ამჟღავნებს მშობელ კიროვაბადის სუფრის ჯიშისადმი.

პიბრიდ ნობათის მეზოფილის ქვედა ეპიდერმისზე უჯრედის ზომები და მასზე ბაგეების სიმჭიდროვის ცვალებადობის გამო, ვეგეტაციის საწყისსა და ბოლო ფაზაში მნიშვნელოვანი სხვაობა შეინიშნება, რაც ფოთლის შემდგომი ზრდისა და განვითარების თავისებურებებით უნდა აიხსნას.

პიბრიდ ნობათის მეზოფილის ეპიდერმისი პირველ ვადაში მშობელ კიროვაბადის სუფრის ჯიშს უფრო ემსგავსება, ვიდრე ალექსანდრიულ მუსკატს. ვაზის აღნიშნული ჯიშების მეზოფილის ქვედა ეპიდერმისზე ბაგეების რაოდენობის ცვალებადობის შესახებ წარმოდგენას იძლევა მე-2 ცხრილი.

ცხრილი 2.

ბაგეთა რაოდენობა ფოთლის (15 სმ×12 სმ) ფართობის ერთეულზე

ჯიში	1 ვადა	ბოლო ვადა
კიროვაბადის სუფრის	13	7
ალექსანდრიული მუსკატი	8	6
ქართლის მშვენიება	12	11
ნობათი	11	9
დიდმტევანა	9	9
ვარდისფერი	12	8

პიბრიდ დიდმტევანას მეზოფილის ქვედა ეპიდერმისი, ისე როგორც ზემოთ განხილულ პიბრიდებში, პირველ ვადაში შედარებით წვრილი ზომის უჯრედებისაგან შედგება, რომლებიც ბოლო ვადისათვის ზომებში ოდნავ დიდდებიან. რაც შეეხება ბაგეებს, მათი რაოდენობა ზრდის ვადების მიხედვით თითქმის ერთნაირია. ეს ჯიში მეტ მსგავსებას პიბრიდ ნობათთან იჩენს.

პიბრიდ ვარდისფერის ფოთლის მეზოფილის ქვედა ეპიდერმისის უჯრედები და ბაგეები პირველ ვადაში უფრო წვრილი ზომით ხასიათდებიან, ვიდრე ბოლო ვადაში. ასე, მაგალითად, პირველი ვადის ფოთლის ეპიდერმისის ფართობის ერთეულზე 12 ბაგე აითვლება, ხოლო ბოლო ვადაში ფოთლის ფა-

რთობის ერთეულზე უკრავდა და ბაგედა რიცხვი შემცირებულა. ამისათვის ზომები რამდენადმე გადიდებული.



ამრავად, ჩატარებული მუშაობის შედეგად დასტურდება სანდრიული მუსკატის ფოთლები უფრო სქელია. ამ მხრივ მას მეტად ემსგავსება ჰიან ჰიბრიდები ნობათი და ქართლის მშვენება, ხოლო რაც შეეხება ჰიბრიდებს—ვარდისფერს და დიდმტევანას, ისინი ამ მხრივ მშობელ კიროვებადის სუფრისადმი უფრო მეტ მსგავსებას იჩენენ.

ეპიდემიის სისქის მხრივაც ჰიბრიდები ქართლის მშვენება, ნობათი და დიდმტევანა მშობელ კიროვებადის სუფრის ჯიშს ემსგავსება.

მესოისებრი პარენქიმის სისქით ყველაზე მეტად მშობელი ალექსანდრიული მუსკატი გამოირჩევა, შემდეგ ნობათი, კიროვებადის სუფრის, ქართლის მშვენება, დიდმტევანა და ბოლოს ვარდისფერი.

ღრუბლისებრი პარენქიმის შრის მეტი სისქით მშობელი ეგზემპლარებიცაა გამოირჩევა ალექსანდრიული მუსკატი, ხოლო ჰიბრიდებიდან კი ნობათი, შედარებით ნაკლები სისქით გამოირჩევიან ჰიბრიდები ქართლის მშვენება, ვარდისფერი და ბოლოს დიდმტევანა.

როგორც მშობელი ეგზემპლარების, ისე ჰიბრიდთა ფოთლის ქვედა ეპიდემიის უკრავდები და ბაგეები რიცხობრივად და ზომებით მნიშვნელოვნად განირჩევიან სავეგეტაციო პერიოდის მანძილზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ჰიბრიდი ქართლის მშვენება, რომელიც ბოლო ვადაში ბაგეების რაოდენობით მნიშვნელოვნად აღარბებს როგორც მშობლებს, ისე ყველა ზემოთ დასახელებულ ჰიბრიდებს.

В. М. ГАГНИДЗЕ

КОЛИЧЕСТВЕННЫЕ ПОКАЗАТЕЛИ СТРУКТУРНОЙ ПЛАСТИЧНОСТИ ЛИСТА ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ

Резюме

Объектом исследования служили новые гибридные формы виноградной лозы Карталис мшвенеба, Нобати, Дидмтевана, Вардиснери и их производители Кировабадский столовый (отцовская форма) и Мускат Александрийский (материнская форма).

Результаты исследования показали существенную разницу в анатомической структуре мезофилла родительских форм. Так, столбчатая и губчатая паренхимы листа Муската Александрийского более толстые, чем Кировабадского.

Из гибридных форм по толщине листа к Мускату александрийскому близко стоят Карталис мшвенеба и Нобати. По этому признаку гибриды Вардиснери и Дидмтевана уклоняются в сторону Кировабадского.

При сравнении анатомической структуры гибридных форм становится очевидным, что по толщине столбчатой и губчатой паренхимы отличаются гибриды Нобати, Карлис мшвенеба и Дидмтевана.

Исследования также показали, что как у гибридных, так и у исходных форм виноградной лозы на ранней стадии развития листа на единице площади количество устьиц больше, чем после окончательного формирования листьев.

ლიტერატურა — Литература

1. ქ. ცხაკაია, ბ. ანგლო. მეცნარეთა ანტომია, თბ. 1934.
2. В. Г. Александров. Анатомия растений, М., 1954.
3. А. А. Иванов. Сборник работ по физиологии растений, посв. памяти К. А. Тимирязева. М.-Л., 1941.
4. В. Х. Тутаюк. Анатомия и морфология растений. М., 1972.
и проф. В. И. Лукьянюка, М., 1971.



მ. როზაძე

**პაის ზოგირით ჯიშისა და ჰიბრიდის მტერის მარცვლანის
სიცოცხლისუნარიანობის შესწავლა**

ვაშის ზოგიერთ ჯიშსა და ჰიბრიდში მტერის მარცვლების სიცოცხლისუნარიანობის შესასწავლად 1971—1975 წლებში გამოყენებული იყო ჩვეულებრივი შაქრისა და სახაროზას სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარები როგორც სუფთა, ისე 0,5% და 1%-იანი აგარისა და აგრეთვე 0,5% და 1%-იანი სუფთა აგარის მიმატებით.

1971—73 წლებში ყველაზე კარგი შედეგი მოგვეცა ჩვეულებრივი შაქრის 10%-იანმა ხსნარმა (ჩაყიდულ წვეთში), რომელშიაც მასობრივად ლივდებოდა ალექსანდრიული მუსკატის, კიროვებადის სუფრის და სუფრის მუსკატის მტერის მარცვლები, ხოლო თითო მუსკატურს, რომელიც ფუნქციონალურად მდებრობითი ტიპისაა, აქვს სტერილური მტვერი, რის გამოც აღნიშნულ ხსნარებში არ ვაღივდა და მხოლოდ 0,5%-იან აგარის ხსნარში განივითარა მცირე ზომის მილები.

მტერის მარცვლების სიცოცხლისუნარიანობის შესასწავლად მტერს ვიღებდით ახლად გახსნილ სამტერე პარკებიდან მასობრივი ყვავილობის დროს. ვამზადებდით 30—50 პრეპარატს, ხოლო თითოეული პრეპარატიდან ვსინჯავდით სამ არეს. პრეპარატებს ვამზადებდით როგორც ჩაყიდულ, ისე გაქყლებილი წვეთით.

1974 წელს მტერის მარცვლების სიცოცხლისუნარიანობის შესასწავლად გამოყენებული ჩვეულებრივი შაქრის 10%-იანი ხსნარი არ გამოდგა, მასში მტერის მარცვლების ძალზე მცირე პროცენტი ვაღივდა, ამიტომ 1974 — 75 წლებში განმეორებით შევისწავლეთ მტერის მარცვლების სიცოცხლისუნარიანობა სხვადასხვა საკვებ არეში: ჩვეულებრივი შაქარი—10%, 15%, 20%, 25%, როგორც სუფთა ხსნარები, ისე 0,5% აგარის მიმატებით და სუფთა აგარი 0,5% და 1%. სახაროზა — 1%, 15%, 20%, 25% როგორც სუფთა, ისე 2%-იანი

ჟელატინის მიმატებით, სველ კამერაში. ცდების შედეგად აღმოჩნდა, რომ სუფრის მუსკატის მტვრის მარცვლები მასობრივად გალივდა 15% ჟელატინი და 15% სუფთა შაქრის ხსნარში.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ალექსანდრიული მუსკატი—15% ჰეულებრივი შაქრის ხსნარში ჩაკიდულ წვეთში და 15% სახაროზა+2% ჟელატინი სველ კამერაში; მტვრის მილები ასეთ საკვებ არეში ვითარდება ძალიან კარგად ისე, რომ დათვლა შეუძლებელია. კიროვბადის სუფრის ჯიშებიდან კარგი შედეგი მივიღეთ 15% ჰეულებრივ შაქარში ჩაკიდულ წვეთში და 15% სახაროზა+2% ჟელატინი სველ კამერაში.

მტვრის მარცვლების სიცოცხლისუნარიანობა გალივების მიხედვით მოცემულია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1

მტვრის მარცვლების სიცოცხლისუნარიანობა ვაზის ჯიშებში და ჰიბრიდში (ა წლის საშუალო)

№	ჯიშებისა და ჰიბრიდების დასახელება	პრეპარატში მტვრის მარცვლების დათესვის დრო	მტვრის მარცვლების რაოდენობა			მტვრის შილის სიგრძე მ
			ს უ ლ	გალივებული	გალივების %	
1	ალექსანდრიული მუსკატი	2/VI—8/VI	235	143,2	60,5	731—876
2	სუფრის მუსკატი	2/VI—8/VI	208,6	87	40,7	467—692
3	კიროვბადის სუფრის	2/VI—8/VI	212	104	49,1	748—785

პირველი ცხრილიდან ჩანს, რომ მტვრის მარცვლების სიცოცხლისუნარიანობა ჯიშების მიხედვით განსხვავებულია. ასევე დიდ ცვალებადობას ჰქონდა ადგილი წლების მიხედვითაც.

ამავე დროს შესწავლილი იქნა მტვრის მარცვლების შენახვის ხანგრძლივობის გავლენა მისი გალივების უნარზე.

მასობრივი ყვავილობის პერიოდში აღებული მტვერი მოთავსებული იქნა პეტრის ჯამებში და დავტოვეთ პაერმშრალ მდგომარეობაში ოთახის ტემპერატურაზე. 3—4 დღის ინტერვალით წარმოებდა მათი დათესვა შაქრის ხსნარებში.

მტვრის მარცვლების სიცოცხლისუნარიანობის ხანგრძლივობა წლების მიხედვით ცვალებადია, 1971 წ. მტვერმა კარგად განვითარებული მილებით გალივება შეინარჩუნა 8—10 დღეს, 1975 წელს კი 12—14 დღეს.

1975 წელს ცდაში აღებული იქნა მტვერი 1—2 დღით ადრე გასაშლელი ყვავილებიდან და შევინახეთ პეტრის ჯამებით, როგორც მაცივარში, ისე ოთახის ტემპერატურაზე და მოწყვეტილი ყვავილელები შევინახეთ მაცივარში, 2—3 დღეში ვაწარმოებდით მტვრის მარცვლების დათესვას 15%-იან ჰეულებრივი შაქრის კონცენტრაციის ხსნარში, ვითვლიდით დათესვიდან 24 საათის შემდეგ. შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში.



1975 წ.

(მწიფე მტკერი)

საქართველოს

საგარეო ურთიერთობების

შენიშვნა.

	ჯიშებისა და პიბრიდების დასახელება	მტკერი		მტკრის მარცვლების რაოდენობა			
		აღებვის დრო	პრეპარატი დათესვის დრო	სულ ცილი	მათ შორის		
					გალივეთ ცილი	გალივეთის მწი	
1	კიროვბაღის სუფრის	2/VI	2/VI	228	185	81,1	მტკრის მილის სიგრძე აღწედა ნორმალურს
2	სუფრის მუსკატი	"	"	216	63	29,1	
3	ილექსანდრიული მუსკატი	"	"	160	108	67,3	
1	კიროვბაღის სუფრის	"	4/VI	324	190	58,6	"
2	სუფრის მუსკატი	"	"	115	50	43,6	
3	ილექსანდრიული მუსკატი	"	"	93	49	51,4	
1	კიროვბაღის სუფრის	"	9/VI	258	164	63,5	"
2	სუფრის მუსკატი	"	"	283	215	75,9	
3	ილექსანდრიული მუსკატი	"	"	195	46	23,5	
1	კიროვბაღის სუფრის	"	14/VI	234	96	41	მტკრის მილის სიგრძე ნორმ.
2	სუფრის მუსკატი	"	"	129	10	7	
3	ილექსანდრიული მუსკატი	"	"	123	25	20,3	
1	კიროვბაღის სუფრის	"	18/VI	272	72	26,8	მტკრის მილის სიგრძე 6-ჯერ შემცირებულია ნორმალურთან
2	სუფრის მუსკატი	"	"	295	18	6,1	
3	ილექსანდრიული მუსკატი	"	"	290	20	6	
1	კიროვბაღის სუფრის	"	19/VI	168	11	6,4	მტკრის მილის სიგრძე 6-ჯერ შემცირებულია ნორმალურთან
2	სუფრის მუსკატი	"	"	207	18	8,6	
3	ილექსანდრიული მუსკატი	"	"	127	6	4,7	
1	კიროვბაღის სუფრის	"	22/VI	175	0	0	"
2	სუფრის მუსკატი	"	"	201	0	0	
3	ილექსანდრიული მუსკატი	"	"	225	0	0	

ზემოთ მოყვანილი მე-2 და მე-3 ცხრილიდან აშკარაა, რომ მტკრის მარცვლების სიცოცხლისუნარიანობა განსხვავებულია, როგორც ჯიშების მიხედვით, ასევე შენახვის პირობების მიხედვითაც. პირველ ხანებში გალივების მე-

Քրիստոսի խնայողական երկրագործականության ցանկի հարցազրույցի 2019 թվականի արդյունքները
 ըստ մարզերի



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
 ԱՊՐԱՅՈՒՆԱԿԱՆ ԵՐԿՐԱԳՈՐԾԱԿԱՆ
 ԿՐԻՍՏՈՍԻ ԽՆԱՅՈՒՂԱԿԱՆ ԵՐԿՐԱԳՈՐԾԱԿԱՆ
 ԱՐԴՅՈՒՆՆԵՐԸ

№	Ինքնուրույն և խնայողական երկրագործական	Քրիստոսի խնայողական երկրագործականության արդյունքները	Քրիստոսի խնայողական երկրագործականության արդյունքները և ձեռնարկներ								
			Ինքնուրույն երկրագործականության արդյունքները			Խնայողական			Քրիստոսի խնայողական երկրագործականության արդյունքները		
			Քրիստոսի խնայողական երկրագործականության արդյունքները			Քրիստոսի խնայողական երկրագործականության արդյունքները			Քրիստոսի խնայողական երկրագործականության արդյունքները		
			Կ Ծ Շ	արժեքներ	արժեքներ %	Կ Ծ Շ	արժեքներ	արժեքներ %	Կ Ծ Շ	արժեքներ	արժեքներ %
1	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	8/VI	323	255	78,9	232	48	20,6	257	40	15,5
2	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	.	275	214	77,8	85	26	32,9	46	18	21,8
3	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	.	208	87	42,2	169	28	15,7	201	0	0
4	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	14/VI	182	32	18,1	93	5	5,3	114	3	2,6
5	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	.	194	66	33,4	273	88	31,7	212	63	30,6
6	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	.	279	47	16,9	58	3	5,1	84	6	7,1
7	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	16/VI	173	14	8,1	370	35	15	377	308	37
8	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	.	113	20	17,6	381	116	30,4	211	17	8
9	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	.	274	26	9,4	116	9	4,8	319	24	16,9
10	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	19/VI	196	29	14,7	110	10	9,1	99	10	10,1
11	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	.	416	51	12,2	214	14	6,5	76	2	2,6
12	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	.	182	18	9,8	—	—	—	—	—	—
13	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	27/VI	305	0	0	376	—	—	—	18	16,4
14	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	.	301	9	0	187	7	3,7	285	17	5,9
15	Խնայողական երկրագործականության արդյունքները	.	317	0	0	300	0	0	215	0	0



ტი უნარით ხასიათდება ოთახის ტემპერატურაზე შენახული მტვერი. მაცივარში მოთავსებული როგორც გადმოყრილი, ისე ყვავილედიდან აღებული მტერის გალივების უნარი ძალზე დაბალია, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ მაცივარში მტერის მარცვლების მომწიფება, დაბალი ტემპერატურის გამო, ძალზე ნელა მიმდინარეობს, შემდგომ პერიოდში კი პირიქითაა. მცირდება ოთახის ტემპერატურაზე შენახული მტერის მარცვლების გალივება კარგად განვითარებული მტერის მიღებით. 1—2 დღით ადრე აღებული მტვერი გაქაშვებული ყვავილედიდან ოთახის ტემპერატურაზე ნორმალური მტერის მიღებით გალივებას იწარჩუნებს 8 დღის განმავლობაში, შემდგომ გალივების პროცენტი ეცემა თანდათანობით და მტერის მილის სიგრძე 5 — 6-ჯერ მცირდება და სრულიად კარგავს გალივების უნარს 17—18 დღეზე.

მაცივარში მოთავსებული მტვერი და ყვავილედი გალივების მაღალ პროცენტს იწარჩუნებს 14—16 დღეს, ხოლო 20 დღეზე სრულიად სწყვეტს და 17—18 დღეზე მტერის მილის სიგრძე 6—7-ჯერ მცირდება, ვიდრე პირველ ხანებში.

ჯიშების მიხედვით გალივების პროცენტი მეტად ცვალებადია.

მტერის მარცვლების სიცოცხლისუნარიანობაზე გავლენას ახდენს ყვავილობის პერიოდში მტერის მარცვლების აღების დრო, ასე მაგ., მტვერი აღებული ყვავილობის დასაწყისში იძლევა აღმოცენების დიდ პროცენტს და აგრეთვე აღმოცენების უნარს იწარჩუნებს ხანგრძლივად, ვიდრე ყვავილობის ბოლოს აღებული მტვერი.

К. В. РОБАКИДЗЕ

ИЗУЧЕНИЕ ЖИЗНЕСПОСОБНОСТИ ПЫЛЬЦЕВЫХ ЗЕРЕН У НЕКОТОРЫХ СОРТОВ И ГИБРИДОВ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ

Резюме

В 1971-1975 годы, в некоторых сортах и гибридах виноградской лозы: в Александрийском мускате. Кировабадском столовом. Тита мускатури и Столовом мускате изучена жизнеспособность пыльцы. Тита мускатури функционально женский сорт, а остальные сорта — двуольные — гермофродитного типа.

Для изучения жизнеспособности зерен пыльцы с только что открывшихся коробочек пыльцы, во время массового цветения или до него изготавливали 30-50 препаратов, а каждый препарат проверяли в трех средах.

При изучении жизнеспособности пыльцевых зерен в некоторых сортах и гибридах виноградской лозы в 1971-73 гг., из питательных сред самым лучшим оказался 10%-ный сахарный раствор (во взвешенной капле).

В 1974—1975 гг. были взяты 15-20%-ный сахарный раствор и 15%-ная сахараза во взвешенной канле и 15%-ная сахараза+2%-ный желатин во влажной камере.

Жизнеспособность пыльцевых зерен зависит как от питательной среды и сильно колеблется по годам.

Продолжительность жизнеспособности пыльцевых зерен зависит также от условий хранения и сроков взятия проб пыльцевых зерен и питательной среды. Спелые зерна с хорошо развитыми трубками, помещенные при комнатной температуре, сохраняют способность к прорастанию в течение 8-14 дней.

Взятые за 1-2 дня до раскрытия цветка, пыльцевые зерна с нормальными пыльцевыми трубками сохраняют способность к прорастанию в течение 8 дней, а полностью теряют ее на 17—18-ый день.

Помещенные в холодильник зерна и соцветия сохраняют высокий процент прорастания в течение 14—16 дней, а на 20-ый день прорастание прекращается.



ბ. ბავშვლავშილი

ღეროფოჩის წაპრის მოქმედება კაროფილის ტუბერის კიბიურ შედგენილობაზე

კარტოფილი სოფლის მეურნეობის კულტურებიდან წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან საკვებ პროდუქტს.

კარტოფილის კულტურა გამოირჩევა მდიდარი შედგენილობითა და მრავალფეროვანი გამოყენებით. იძლევა სახამებლით და ვიტამინებით მდიდარ პროდუქტს ადამიანის საკვებად. აგრეთვე ნოყბერსა და წვნიან საკვებს მეცხოველეობისათვის.

კარტოფილის ტუბერის შედგენილობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ღეროფოჩის წაჭრა. ჩვენ მიერ საქართველოში ასეთი ცდები პირველად იქნა ჩატარებული.

ცდები ტარდებოდა 1971—1974 წლებში ონის რაიონის სოფელ გლოლაში.

ცდის სქემა

- ვარიანტი 1. ნორმალურად განვითარებული (წაუჭრელი) ტუბერის დარგვა საკონტროლო.
- ვარიანტი 2. ყვავილობის დაწყებიდან 10 დღის შემდეგ 20 სმ სიმაღლეზე ღეროფოჩის წაჭრა.
- ვარიანტი 3. ყვავილობის დაწყებიდან 10 დღის შემდეგ 30 სმ სიმაღლეზე ღეროფოჩის წაჭრა.
- ვარიანტი 4. ყვავილობის დაწყებიდან 20 დღის შემდეგ 20 სმ სიმაღლეზე ღეროფოჩის წაჭრა.
- ვარიანტი 5. ყვავილობის დაწყებიდან 20 დღის შემდეგ 30 სმ სიმაღლეზე ღეროფოჩის წაჭრა.
- ვარიანტი 6. ყვავილობის დაწყებიდან 30 დღის შემდეგ 20 სმ სიმაღლეზე ღეროფოჩის წაჭრა.
- ვარიანტი 7. ყვავილობის დაწყებიდან 30 დღის შემდეგ 30 სმ სიმაღლეზე ღეროფოჩის წაჭრა.
- ვარიანტი 8. მოსავლის აღების 20 დღის წინ 20 სმ სიღრმეზე ღეროფოჩის წაჭრა.
- ვარიანტი 9. მოსავლის აღების 10 დღის წინ 20 სმ სიმაღლეზე ღეროფოჩის წაჭრა.



წინამორბედი იყო კარტოფილი. დარგვა შეეასრულეთ ხელით 70x30 სმ კვების არეზე.

მოსავლის აღების დროს კარტოფილის ტუბერები დავახარისხეთ სამ ფენა: ქციად 100—80, 80—60 და 60—40 გრამის წონით პირველი და მეორე ფრაქციებიდან ვიღებდით ნიმუშებს ქიმიური ანალიზისათვის.

სახამებელი შევისწავლეთ პოლიმეტრიული მეთოდით ევერსის მიხედვით, შაქრები განვსაზღვრეთ ბერტრანის მეთოდით, ხოლო ცხიმი განვსაზღვრეთ სოქსლეტის აპარატით.

ცდის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ღეროფოჩის წაჭრა გარკვეულ გავლენას ახდენს ტუბერის ქიმიურ შედგენილობაზე. 10, 20 და 30 სმ სიმაღლეზე ღეროს წაჭრით, ახლად გამოტანილი ფოთლები უფრო ცხოველმყოფელუნარიანი აღმოჩნდნენ საკონტროლო ვარიანტის ფოთლებთან შედარებით, როგორც ჩანს, ახალგაზრდა ფოთლებს პლასტიკური ნივთიერების მეტი დაგროვების უნარი შესწევთ.

გარდა ამისა, 30 სმ სიმაღლეზე წაჭრის შემთხვევაში, ღეროს (განშტოება) დატოტვა უფრო მეტია. ფოთლის იდლიებიდან უფრო მეტი ახალგაზრდა ღეროები და ფოთლები გამოდიან და ვითარდებიან, ვიდრე 20 სმ სიმაღლეზე წაჭრის შემთხვევაში. 30 სმ სიმაღლეზე წაჭრა ყველაზე კარგ შედეგს იძლევა მესამე ვარიანტში (ყვავილობის დაწყებიდან 10 დღის შემდეგ 30 სმ სიმაღლეზე ღეროფოჩის წაჭრა).

როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, ორი წლის საშუალო მონაცემებით ღეროფოჩის წაჭრა გარკვეულ გავლენას ახდენს ქიმიურ შედგენილობაზეც ფოჩის წაუჭრელი ბუჩქიდან მიღებულ ტუბერში სახამებლის შემცველობა უდრიდა 16,3%, ყვავილობის დაწყებიდან 10 დღის შემდეგ 30 სმ სიმაღლეზე წაჭრილის ტუბერში—18,3%. ყვავილობის დაწყებიდან 20 დღის შემდეგ 30 სმ წაჭრილისაში კი 20,50 და 20,36%. სხვა ფაზაში და სხვა სიმაღლეზე წაჭრა არ იძლევა ტუბერში სახამებლის მატებას წაუჭრელთან შედარებით.

რაც შეეხება (მარტივ და საერთო) შაქრებს, ფოჩის წაჭრა წაუჭრელთან შედარებით იწვევს შაქრების გადიდებას. ანალოგიური მდგომარეობაა ცხიმის შემცველობაშიც. ყველა ვადასა და ყველა წესით ფოჩის წაჭრა არ იძლევა ეფექტს. ხოლო ყვავილობის დაწყებიდან 10 დღის შემდეგ 30 სმ სიმაღლეზე ღეროს წაჭრა დადებით შედეგს იძლევა და ადიდებას ტუბერში ცხიმის შემცველობას.

კარტოფილის ტუბერების ქიმიური შედგენილობა იცვლება არა მარტო ჩიშის მიხედვით, არამედ ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და აგროტექნიკის გამოყენებითაც. როგორც ჩანს, ღეროფოჩის წაჭრამ ხელი შეუწყო ტუბერის განვითარებას, ამ ვარიანტებში უფრო უკეთესი ზომის ტუბერები განვითარდა.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

1. კარტოფილის ღეროფოჩის წაჭრა აუმჯობესებს მცენარის მიერ მზის ენერჯიის გამოყენებას და საბოლოოდ ზრდის ორგანული ნივთიერების დაგროვებას ტუბერში.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ

ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ

ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ			ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ						ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ					
		ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ			ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ			ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ			ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ			ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ		
		1991	1992	ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	1991	1992	ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	1991	1992	ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	1991	1992	ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	1991	1992	ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ
1 ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	I ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	14,1	16,50	16,30	1,01	0,92	0,91	1,19	1,20	1,19	0,64	0,106	0,37	0,15	0,170	0,16
	II ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	14,1	14,25	14,17	1,01	1,00	1,00	1,02	1,04	1,00	0,40	0,106	0,25	0,20	0,093	0,06
2 ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	I ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	14,0	15,25	14,60	1,03	0,89	0,76	1,42	1,19	1,20	0,68	0,249	0,71	0,37	0,121	0,16
	II ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	14,0	16,00	15,0	0,95	0,90	0,76	1,30	1,29	1,24	1,12	0,261	0,74	0,25	0,076	0,16
3 ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	I ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	15,1	18,50	18,20	1,24	1,01	1,01	1,57	1,72	1,64	0,74	0,672	0,71	0,31	0,184	0,16
	II ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	12,7	17,25	16,96	1,37	1,46	1,40	2,13	1,69	1,98	1,15	0,731	1,04	0,26	0,394	0,33
4 ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	I ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	14,2	16,40	15,20	1,22	1,00	1,16	1,14	1,79	1,46	0,20	0,294	0,29	0,62	0,126	0,27
	II ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	15,0	18,15	16,58	0,97	1,04	1,00	1,09	2,21	1,66	0,74	0,671	0,71	0,06	0,162	0,11
5 ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	I ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	19,4	21,60	20,57	0,90	1,07	1,04	1,0	2,62	1,41	0,34	0,507	0,42	0,07	0,303	0,29
	II ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	19,20	21,00	20,36	1,03	1,05	1,04	1,71	2,24	2,12	1,25	0,627	1,17	0,42	0,323	0,46
6 ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	I ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	14,4	17,60	16,70	0,87	0,86	0,86	1,23	1,26	1,24	1,14	0,617	0,29	0,31	0,120	0,24
	II ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	17,4	23,90	23,28	0,71	1,12	0,91	1,15	1,40	1,28	1,48	0,616	0,75	0,24	0,660	0,32
7 ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	I ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	16,8	21,25	19,02	1,3	1,18	1,19	1,39	2,74	2,06	0,15	0,671	0,11	0,08	0,41	0,24
	II ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	15,0	21,50	17,10	0,89	1,20	1,04	1,12	2,43	1,72	0,26	0,663	0,21	0,22	0,25	0,28
8 ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	I ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	15,7	19,20	17,50	1,05	1,41	1,22	1,37	2,16	2,26	0,20	0,624	0,42	0,04	0,602	0,05
	II ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	16,5	17,00	16,68	0,99	2,41	1,94	1,32	2,70	2,46	0,17	0,623	0,30	0,04	0,126	0,09
9 ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	I ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	13,2	17,75	16,48	1,23	1,49	1,20	1,39	2,20	1,82	1,15	0,692	0,19	0,2	0,683	0,19
	II ԿՈՍՏԱՏԱՆԻ ԿԵՆՏՐՈՆ	17,0	17,20	17,10	0,84	1,82	1,12	0,73	2,72	2,23	1,09	0,627	0,26	0,29	0,181	0,14



2. ლეროფონის წაჭრა დადებით შედეგს იძლევა ყვავილობის დაწყებიდან 10, 20 და 30 დღის შემდეგ 30 სმ სიმაღლეზე, ლეროს წაჭრის შემთხვევაში მოსავლიანობის მატება მერყეობს 25, 4—31, 6%-ის ფარგლებში.
3. ლეროფონის წაჭრამ ტუბერის მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად გააუმჯობესა მისი ქიმიური შედგენილობაც. სახელდობრ, (მესამე ვარიანტში) ყვავილობის დაწყებიდან 10 დღის შემდეგ 30 სმ სიმაღლეზე ლეროფონის წაჭრამ 2%-ით მეტი სახამებლის დაგროვება გამოიწვია, წაუჭრელთან შედარებით, ხოლო ცილების მატება ფრაქციების მიხედვით—0,10—0,75%-მდე. ცხიმის დაგროვების მხრივ აგრეთვე ეფექტიანი აღმოჩნდა ფონის წაჭრა ყვავილობის დაწყებიდან 10 დღის შემდეგ 30 სმ-ზე.

Г. Г. ТКЕШЕЛАШВИЛИ

ВЛИЯНИЕ СКАШИВАНИЯ БОТВЫ НА ХИМИЧЕСКИЙ СОСТАВ КЛУБНЕЙ КАРТОФЕЛЯ

Резюме

Влияние скашивания ботвы на урожайность картофеля все шире освещается в специальной литературе.

С целью изучения влияния скашивания ботвы на химический состав клубня в сел. Глола Онского района на высоте 1500 м н. у. м. проведены опыты, где изучались разные способы и сроки проведения скашивания ботвы. Анализ образцов разных вариантов опыта на влажность, содержание витаминов, общий сахар, золу, белковый азот, жиры и ферменты показали, что скашивание ботвы способствует накоплению органических веществ в клубне.

Наивысший урожай получен от скашивания ботвы через 10-20-30 дней после начала цветения на высоте 30 см. Вместе с повышением урожая улучшается и количество клубней. При скашивании ботвы в указанные (лучшие) сроки качество крахмала в клубнях увеличивается в среднем на 2%, а повышение белков по сортам колеблется в пределах 0,10—0,75%.

По накоплению жиров наиболее эффективен также способ скашивания ботвы на высоте 30 см через десять дней после начала цветения.

ლიტერატურა — Литература

1. გ. ბაღრიშვილი. კარტოფილის კულტურა საქართველოში, თბ., 1963.
2. А. И. Ермаков, В. В. Арсимович, М. И. Смирнова-Иконникова, И. К. Мурри. Методы биохимического исследования растений, М., 1952.
3. А. С. Вечер, М. И. Гончарик. Физиология и биохимия картофеля. Минск, 1973.
4. Н. А. Майсурия, В. Н. Стеназов, В. С. Кузнецов, В. И. Лукьянов, П. А. Черномаз. Растениеводство. Под редакцией проф. В. Н. Стеназова и проф. В. И. Лукьянова, М., 1974.
5. Б. П. Плешков. Практикум биохимии. М., 1968.



ზ. თანდასვილი

თესვის ვაშლის გავლენა ხახვის ჯიშ კახური გრძელის მოსავლიანობაზე

უკანასკნელ წლებში საქართველოში გავრცელდა ხახვის ჯიში კახური ბრტყელი, რომელიც გამოყვანილია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორის თ. რომაქიძის მიერ. 1961 წლიდან იგი დარაობებულა აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ ზონაში. ხახვის ეს ჯიში მალაღმოსავლიანია, აქვს კარგი შეხედულება, ბოლქვები ღია წითელია, მომრგვალო-მობრტყოფორმის.

მაგრამ ამ ჯიშის აგროტექნიკა არაა საკმარისად შესწავლილი, კერძოდ, ამ იყო დაზუსტებული თესვის ოპტიმალური ვადები.

ცნობილია, რომ თუ ხახვი დაგვიანებით დაითესა (აპრილში, მაისში), აღმონაცენი მეჩხერია, მცენარეები სუსტად იზრდება და მოსავლიც დაბალია.

ჩვენ მიზნად დავისახეთ დაგვედგინა თბილისის საგარეუბნო ზონისათვის ამ ჯიშის თესვის საუკეთესო ვადები.

ცდები ჩატარდა 1970—1973 წლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში მებოსტნეობის კათედრის საცდელ ნაკვეთზე შემდეგი სქემით:

1. თესვა ზაფხულის ბოლოს—15/VIII;
2. თესვა შემოდგომის დასაწყისში—1/IX;
3. თესვა ადრე შემოდგომით—15/IX;
4. თესვა შუა შემოდგომაზე—1/X;
5. თესვა ზამთარში—10/1—20/II;
6. თესვა ადრე გაზაფხულზე—1/III—10/III (საკონტროლო).

თითოეული ვარიანტი იცდებოდა ოთხი განმეორებით დანაყოფის ზომა—40 მ².

ხახვი დაითესა მწკრივად 22,5 სმ-ის მწკრივთშორისებით, გამეჩხერებისა და მწკრივგამოსვებით მწვანე საფოჩე ხახვის აღების შემდეგ მწკრივებს შორის დარჩა 45 სმ, რაც შემდგომში შექანიზაციის შესაძლებლობას იძლევა.

ნათესის მოვლა ტარდებოდა დროულად და მალაღმოსავლად. დათესვისთანავე დანაყოფებში შეგვექონდა გადამწვარი ნაკელი ერთი სმ სისქის ფენად, რომელიც თავდაპირველად მულჩის როლს ასრულებდა. ხახვი დათესვისთანავე ირწყვებოდა, შემდეგ კი მორწყვა ტარდებოდა საჭიროებისდა მიხედვით.

მინერალური სასუქებიდან შეგვქონდა (1 ჰა-ზე სუფთა ნივთიერებაზე ანგარიშით) ფოსფორი—250—300 კგ და კალიუმი 150—200 კგ ძირითადი ხეხის წინ. ხოლო აზოტი (ამონიუმის გვარჯილა) 150 კგ-ის რაოდენობით შეგვქონდა. სამჭერად: თესვის წინ და ორჯერ გამოყვების სახით. კრაქისა და, განსაკუთრებით, გამოყენებული იყო 1%-იანი ბორდოს ხსნარის შესხურება.

ფენოლოვიური დაკვირვების დროს ირიცხებოდა: აღმოცენება. 1-ლი, მე-2-ე, მე-3-ე ნამდვილი ფოთლების წარმოქმნა, საყვავილე ისრების წარმოქმნა, ბოლქვების ფორმირების დასაწყისი და დასასრული, თესლის მომწიფების დრო, ცრუ ღეროს ჩაწოლა და მოსავლის აღების დრო. ვიკლევდით აგრეთვე ფოჩისა და ბოლქვის ზრდის დინამიკას.

კვლევის შედეგები მოცემულია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

ხახვის ფენოფაზების მიმდინარეობა (სამი წლის საშუალო)

კრაქის	თესვის ელვა	აღმოცენება		ნამდვილი ფოთლების წარმოქმნა			საყვავილეთის წარმოქმნა	ბოლქვების ფორმირება		ცრუ ღეროს ჩაწოლა	ფოსფორის და ბოლქვის აღება
		დასაწყისი	მოსაბრები	1-ლი	მე-2-ე	მე-3-ე		დასაწყისი	დასასრული		
1	15.VIII	23.VIII	27.VIII	1.IX	8.IX	17.IX	5.IV	—	—	—	1.VII
2	1 IX	10.IX	14.IX	18.IX	27.IX	14.X	10.IV	—	—	—	1.VIII
3	15.IX	28.IX	2.X	8.X	16.XI	15.IV	30.IV	5.V	20.VI	30.VI	10.VII
4	1.X	18.X	24.X	1.XI	15.XI	20.III	—	20.V	20.VII	23.VII	25.VII
5	10.I-20.II	18.III	25.III	1.IV	8.IV	25.IV	—	20.VI	10.VIII	15.VIII	20.VIII
6	1.III 10.III	7.IV	10.IV	15.IV	25.IV	3.V	—	10.VII	15.VIII	23.VIII	25.VIII

როგორც ზემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომაზე ნათესში მცენარეებმა სწრაფად გაიარეს განვითარების ფაზები, ადრე მომწიფდნენ და გაიკეთეს სათესლე ისრები. სათესლე ისრები შეიძლებოდა გადაკრილიყო ბოლქვების მისაღებად ან, დატოვების შემთხვევაში შეიძლებოდა მიგვეღო თესლი, რომელიც არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი წესით ბოლქვის დარგვით მიღებული თესლისაგან.

სათესლე ისრები განვითარა აგრეთვე 15 სექტემბერს დათესილი მცენარეების დაახლოებით 40%-მა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ბოლქვების მოსავლიანობაზე და ხარისხზე.

თესვის ვადების მიხედვით ბოლქვების ფორმირების დაწყება და დამთავრება სხვადასხვაა. ასე, მაგალითად, მესამე ვარიანტში (15/IX-ს ნათესი) მოსავალი 45 დღით ადრე შემოდის, ვიდრე ადრე გაზაფხულზე—1/III-ის ნათესისა.

ხახვის მოსავლის აღება ხდებოდა ცრუ ღეროს ჩაწოლის შემდეგ და იწონებოდა ვარიანტებისა და განმეორებების მიხედვით მე-2 ცხრილში მოტანილია მოსავლიანობის მაჩვენებლები წლების მიხედვით.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ადრეულ ვადებში დათესილ ვარიანტებში ბოლქვის მოსავლიანობა დაბალია, სამაგიეროდ ამ ვადებში ნათესი ხახვი გაზაფხულზე ადრე შემოდის. ასე, მაგალითად, 10 აპრილისათვის, 15 აგვისტოსა და



ვარიანტი	მოსავლი კა-ზე			სამი წლის საშუალო
	1971 წ.	1972 წ.	1973 წ.	
1	61,7	86,5	124,6	90,9
2	73,1	92,0	130,5	98,4
3	62,6	126,6	146,7	111,9
4	65,1	9,2	159,9	109,5
5	213,6	178,7	20,6	198,6
6	154,0	165,3	183,7	167,7

პირველი სექტემბრის ნათესებში ხახვის ფოჩი სიმაღლით 35—40 სმ-ს აღწევს, ხოლო 15 სექტემბრის ნათესში 25—28 სმ-ს, ამავე პერიოდისათვის ზამთრისა და ადრე გაზაფხულის ნათესებში მცენარე პირველ ორ ფოთოლშია. ზემოაღნიშნულს დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ისეთ პერიოდში, როდესაც ღია გრუნტიდან სხვა ბოსტნეული კულტურები ჯერ არ არის შემოსული. ამ დროისათვის საფოჩე ხახვის სახელმწიფო შესყიდვის ფასიც უფრო მაღალია.

მე-3 ცხრილში ვიძლევიტ სამი წლის მაჩვენებლების მიხედვით ცდის შედეგების ეკონომიურ დასაბუთებას: მოსავლის, პროდუქციის ღირებულების, გაწეული დანახარჯების, წმინდა შემოსავლისა და რენტაბელობის დონის მიხედვით.

ცხრილი 3

ცდის ეკონომიური შედეგები

ვარიანტი	მოსავალი კა-ზე		ღანასარჩები (მან.)	ტელაზა- (ერთი აგონა- მბი თანა (მან.)	1 ც-ის თვით- ღირებულება (მან.)		მოგება (მან.)	რენტაბე- ლობის დონე %
	ბოსტნე- ულის	თესლის			ბოსტნე- ულის	თესლის		
1	90,9	4,0	2229,02	8956	5,90	429,06	6726,98	301,7
2	98,4	3,5	2223,97	8377	6,62	430,57	6128,03	275
3	111,9	—	1618,25	2802	14,46	—	1183,75	73,1
4	69,1	—	1646,47	2203	15,06	—	556,53	33,7
5	198,6	—	2108,7	4462	10,61	—	2353,21	1:1,6
6	167,7	—	2009,74	3823	11,97	—	1813,56	90,2

ცხრილიდან ჩანს, რომ წმინდა შემოსავალი ყველაზე მეტია პირველსა და მეორე ვარიანტში იმის გამო, რომ ამ ვადებში ნათესი მცენარეებიდან მივიღეთ ხახვის თესლი, რომლის სახელმწიფო შესყიდვის ფასი საკმაოდ მაღალია (1 კგ—17 მან.), ხოლო სხვა ვარიანტებთან შედარებით წმინდა შემოსავალი და რენტაბელობის დონე უფრო მეტია ზამთრის ვადაში ნათესის.



ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნები:

1. ხახვის ჭიში კახური ბრტყელი ბოლქვის მიღების მიზნით მიზანშეწონილია დაითესოს 10/1-დან 20/11-მდე, მასთან უმჯობესია ადრეგამოსავალი ხახვის თესვის მისაღებად.
2. 15 აგვისტოსა და 1 სექტემბრის ნათესები გამოყენებული უნდა იქნას ხახვის თესვის მისაღებად.
3. ადრე გაზაფხულზე მოსახლეობის მწვანე საფორმე ხახვით უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხახვის თესვა ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომაზე.

III. X. ТАНДАШВИЛИ

ВЛИЯНИЕ СРОКОВ ПОСЕВА ЛУКА КАХУРИ БРТКЕЛИ НА УРОЖАЙНОСТЬ

Резюме

Испытаны четыре срока сева в осенний период — 15.VIII, 1. IX, 15. IX и 1.X и два срока в зимне-весенний период — с 10.I по 20.II и с 1.III по 10.III.

На основе проведенных опытов даются следующие выводы и предложения:

1. Целесообразно сорт лука Кахури брткели, с целью получения лука-репки, сеять зимой с 15.I по 20.II.
2. Августовские и сентябрьские сроки следует применять для получения семян лука.
3. Для обеспечения снабжения населения в ранне-весенний период зеленым (перо) луком, целесообразно производить посев в конце лета и ранней осенью.

ლიტერატურა — Литература

1. М. В. Алексеева. Культурные луки, М., 1960.
2. А. А. Казакова. Лук, М., 1971.
3. გ. კვაჭაძე. მებოსტნეობა, თბ., 1965.
4. გ. კვაჭაძე. ხახვის შემოდგომაზე თესვის ვადები. მეზინდვრეობის ინსტიტუტის შრომები, ტ. 3, თბ., 1948.





ა. ჩავლიშვილი, მ. ბორჩხაძე

თეთრთავიანი კომბოსტო ბარბუქულა თბილისის საბარჯუნო ზონაში

აღმოსავლეთ საქართველო, კერძოდ ქართლი, თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით მეტად ხელსაყრელია თეთრთავიანი კომბოსტოსათვის. ქვემო ქართლის რაიონების კლიმატური პირობები იძლევიან სრულ საშუალებას საადრეო კომბოსტოს წარმოებისათვის როგორც ზამთრის პირზე დარგვით, ისე კვალსათბურებში გამოზრდილი ჩითილის ადრე გაზაფხულზე დარგვით. აქ მოყვანილი საადრეო კომბოსტოს პროდუქციით მარაგდება ქ. თბილისის და ქ. რუსთავის მოსახლეობა. რაც შეეხება საგვიანო კომბოსტოს, მისი მოყვანა ძირითადად შუა და ზემო ქართლში წარმოებს, სადაც მისთვის უფრო ხელსაყრელი კლიმატური პირობებია. სწორედ ამ პირობებში ისტორიულად ხალხური სელექციის გზით შეიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი ჯიშები, როგორიცაა მესხური და ბერბუქულა, რომელთაგან არ არის დარაიონებული ბერბუქულა. ვინაიდან დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი აგროტექნიკური, სამეურნეო და ქიმიურ-ტექნოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სმ პროდუქტთა შენახვისა და ტექნოლოგიის და მებოსტნეობის კათედრებზე 1966—1969 წლებში ჩატარებულ იქნა კვლევითი მუშაობა თეთრთავიანი კომბოსტოს ჯიშ ბერბუქულას შესწავლის მიზნით შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

1. მოსავლიანობა შემოდგომის, გაზაფხულისა და ზაფხულის ნარგაობაში.
2. ვეგეტაციის ხანგრძლივობა მოსავლის შემოსვლის ვადების მიხედვით.
3. ჯიშის ტექნიკური მაჩვენებლები.
4. ჯიშის ქიმიურ-ტექნოლოგიური თვისებები.

თეთრთავიანი კომბოსტოს ბერბუქულას აღნიშნული ნიშან-თვისებების შესწავლა წარმოებდა დარაიონებულ ჯიშ გორულ ბრაუნშვეიგთან ურთიერთშედარებით.

აგროტექნიკური სამუშაოები ჩატარდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში.

თეთრთავიანი კომბოსტოს საცდელი ჯიშების სამეურნეო, ტექნოქიმიური და ტექნოლოგიური მაჩვენებლების შესწავლის მიზნით კვლევის მეთოდით



გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების შესწავლა: საპექტარო მოსავლიანობა, კომპოსტოს თავების ტექნიკური და ქიმიური მაჩვენებლები, საშუალო წონა, მოცულობა, ხვედრითი წონა, ფორმა, შეფერვა, ტენიანობა, სარქველში წესილი ნივთიერება. შაქრები—ინვერსიული, საქაროზა, საერთო შაქარი, შაქრისა და შაქრის ნივთიერება, მთრიმლავი ნივთიერებები, ვიტამინი C, უჯრედისი, აზოტოვანი ნივთიერებანი, მინერალური ნივთიერებები.

საცდელი ჯიშების ტექნიკური მაჩვენებლები განისაზღვრებოდა ჯიშთაგამოცდის მეთოდის შესაბამისად.

ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა ტარდებოდა შემდეგი მეთოდებით:

ტენიანობის — საცდელი ნიმუშის შრობით მუდმივ წონაზე დაყვანით.

შაქრების — ფერიკიანიდის მეთოდით.

მეფიანობის — 0,1 N NaOH-ის ხსნარით ტიტრაციით.

პექტინოვანი ნივთიერება — კალციუმის პექტატის მეთოდით.

მთრიმლავი ნივთიერება — ლევენტალისა და ნეუერბერგის მეთოდით.

ვიტამინი C — ტოლმასის მეთოდით (2,6 დიქლორფენოლინდოფენოლით).

აზოტოვანი ნივთიერება — კელდალის მეთოდით.

უჯრედისი — პენებერგ-შტომანის მეთოდით.

საერთო ნაცარი — დანაცურის მეთოდით.

შესწავლილი ჯიშების საპექტარო მოსავლიანობა ორი წლის ცდების მიხედვით წარმოდგენილია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1

საცდელი ჯიშების საპექტარო მოსავლიანობა დარგვის ვადებისაგან დამოკიდებულებით

დარგვის ვადა	წელი	ჯიშის დასახელება	მოსავალი I კა-ზე ც	მოსავლის შეტება I კა-ზე ც	მოსავლის შეტება %-ობით საკონტროლოსთან შედარებით
შემოდინა	1968	ბრაუნშვეიგი (საკონტროლო) ბერბუკულა	172,0	—	100,0
		ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	277,4	165,4	161,2
შემოდინა	1969	ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	237,6	—	100,0
		ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	323,1	85,5	135,9
ბაზმებული	1968	ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	240,0	—	100,0
		ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	329,9	83,6	133,9
ბაზმებული	1969	ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	340,1	—	100,0
		ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	451,4	121,3	135,6
ზაფხული	1968	ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	288,6	—	100,0
		ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	345,6	58,2	120,1
ზაფხული	1969	ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	361,1	—	100,0
		ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	456,3	95,2	126,3



როგორც პირველ ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, დარგის საერთავე ვადაში თეთრთავიანი კომბოსტოს ბერბუკულას საშუალო საპექტარო მოსავლიანობა მნიშვნელოვნად აღემატება გორულ ბრაუნშვეიგის მის ნარგაობაში 46,5%-ით, ვაწახულის ნარგაობაში—34,9%-ით, ხაჩვასის ნარგაობაში—23,6%-ით. ამასთან ნათლად არის გამოხატული მოსავლის მნიშვნელოვნად მატება საკონტროლოსთან შედარებით შემოდგომის ნარგაობაში.

თეთრთავიანი კომბოსტოს საცდელი ჯიშების მოსავლის აღების დაწყება დარგის ვადებისაგან დამოკიდებულებით მოცემულია მე-2 ცხრილში.

როგორც ვხედავთ, თეთრთავიანი კომბოსტო ბერბუკულა გორულ ბრაუნშვეიგთან შედარებით მნიშვნელოვანი დაგვიანებით შემოდის, რაც ჯიშისათვის დადებით თვისებად უნდა ჩაითვალოს, რადგან იგი აგრძელებს მოსავლის შემოსვლიან ხანგრძლივობას აგვისტოს შუა რიცხვებამდე შემოდგომის ნარგაობაში.

თეთრთავიანი კომბოსტოს საცდელი ნიმუშების ტექნიკური მაჩვენებლები დარგის ვადებისაგან დამოკიდებულებით ნაჩვენებია მე-3 ცხრილში.

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საკონტროლო ჯიშთა—გორულ ბრაუნშვეიგთან შედარებით ჯიში—ბერბუკულა მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით ხასიათდება უპირატესობით.

ამავე ჯიშების შედარებითი დახასიათება ჭიმოური მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 2

საცდელი ჯიშების მოსავლის აღების დაწყება და ხანგრძლივობა

დარგის დრო	წელი	ჯიშის დასახელება	დარგის თარიღი	მოსავლის აღების დაწყება	სხვაობა დღეებში
შემოდგომა	1968	ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	18.XI.67	8.VII 68 12.VIII, 68	— 34
	1969	ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	5.XI.68	22.VII, 68 5.VIII. 68	— 13
ზამთარი	1968	ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	15.V.68	19.VIII 7. IX	— 18
	1969	ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	17.V	5.VIII 4. IX	— 30
ბებრული	1968	ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	15.VI	8.X 20.X	— 12
	1969	ბრაუნშვეიგი ბერბუკულა	15.VI	20.IX 12.X	— 24

ამგვარად, თეთრთავიანი კომბოსტოს ჯიშების—გორული ბრაუნშვეიგისა და ბერბუკულას შედარებითი დახასიათების მიზნით ჩატარებული კვლევითი მუშაობის საფუძველზე ირკვევა, რომ ჯიში ბერბუკულა საკონტროლო ჯიშთან შედარებით ხასიათდება უკეთესი სამეურნეო თვისებებით. პირველ რიგში აღსანი-



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და სტატისტიკის ეროვნული ცენტრის
შედეგები (%, %)

სტატისტიკის ეროვნული ცენტრი
სტატისტიკის ეროვნული ცენტრი

სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	1990	წელი	სტატისტიკის ეროვნული ცენტრი		სტატისტიკის ეროვნული ცენტრი			სტატისტიკის ეროვნული ცენტრი		სტატისტიკის ეროვნული ცენტრი C %	სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	
			სტატისტიკის ეროვნული ცენტრი C %	სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	სტატისტიკის ეროვნული ცენტრი						
სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	92,92	7,08	6,30	2,87	0,26	3,13	0,03	0,18	54,14	0,13	0,58	0,12
	სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	92,76	7,24	6,26	2,63	0,26	3,19	0,16	0,78	50,24	0,21	0,80	0,13
სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	92,50	7,42	6,33	2,73	0,27	3,10	0,08	0,21	57,18	0,21	0,67	—
	სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	92,04	7,96	7,20	2,83	0,76	4,59	0,03	0,21	57,56	0,14	0,67	—
სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	93,68	6,32	6,21	—	—	0,68	—	0,30	51,92	0,28	0,70	1,40
	სტატისტიკის ეროვნული ცენტრი	92,74	7,26	6,66	—	—	0,20	—	0,69	52,10	0,24	0,65	1,33



თეთრთავიანი კომბოსტოს საცდელი ნიმუშების ტექნიკური მკვლევარების შედეგები

დარგვის ვადა	ჯიში	თავის ს.მ. წონა. აგ.	ს.მ. წონა. ტუღობა	ტუღობის წონა	ფორმა	ფერი	სიმწვანეობა
შემოდგომის	გორული ბრაუნ-შვეიცი ბერბუკულა	1,70	2512	0,682	მრგვალი მრგვალი	ღია მომწვანო	მკვრივი
		2,41	3400	0,710			
ბაზემს-სი	გორული ბრაუნ-შვეიცი ბერბუკულა	1,68	2484	0,676	მრგვალი	ღია მომწვანო	მკვრივი
		1,86	2677	0,688			

შნავია მისი უხვმოსავლიანობა. ორი წლის საშუალო მონაცემებით მოსავლის შატება გორულ ბრაუნშვეიგთან შედარებით შემოდგომის ნარგაობიდან უდრიდა 46,5%-ს, სავაზაფხულო ნარგაობაში—34,9%, ხოლო ზაფხულისაში—23,6%.

ცდებით დადგენილ იქნა, რომ ბერბუკულა გორულ ბრაუნშვეიგთან შედარებით უფრო გვიან შემოდის, რის გამოც იგი უფრო საგვიანო ჯიშად უნდა იქნეს მიჩნეული. ბერბუკულას შემოსვლის ვადები 12—34 დღით ჩამორჩებოდა საკონტროლო ჯიშის—ბრაუნშვეიგის შემოსვლის ვადებს. ეს თვისება კი მეტად მნიშვნელოვანია საშემოდგომო ნარგაობაში, რადგან იგი აგრძელებს ჯიშის შემოსვლის ხანგრძლივობას აგვისტოს შუა რიცხვებამდე.

ტექნიკური და ჭიმბური ანალიზებით ირკვევა, რომ ჯიში ბერბუკულა დარგვის ყველა ვადის შემთხვევაში ჭიმბურ-ტექნოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით უფრო მაღლა დგას ვიდრე გორული ბრაუნშვეიგი. ამ მხრივ განსაკუთრებით უპირატესობა ეკუთვნისა და ვიტამინი C-ს შემცველობის მიხედვით. აღსანიშნავია ისიც, რომ დარგვის ყველა ვადაში შემოსულ ჯიშ ბერბუკულას არ ახასიათებს თავების დასკდომა, იგი ივითარებს მკვრივ და ჭიმისათვის დამახასიათებელ ტიპურ თავებს.

ყველა ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თეთრთავიანი კომბოსტოს ჯიში ბერბუკულა მეტად პერსპექტიულია და რეკომენდებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ჯიშთაგამოცდის გავლისათვის, რათა დროულად იქნეს ვადაცემული წარმოებაში ფართოდ დასაწერგავად.

А. ЧАВЛЕЯШВИЛИ, О. ТОРОТАДЗЕ

**БЕЛОКОЧАННАЯ КАПУСТА БЕРБУКУЛА В ПРИГОРОДНОЙ ЗОНЕ
г. ТБИЛИСИ**

Резюме

Основным сортом белокочанной капусты среднепоздней спелости в условиях Картли является Брауншвейги из Гори. Наряду с этим существуют и другие сорта, выведенные путем народной селекции Месху-рия и Бербукула. Несмотря на то, что сорт Бербукула по ряду показателей

заслуживает внимания, из-за отсутствия соответствующих данных, еще не районирован.

Целью настоящей работы являлось сравнительное изучение сортов Брауншвейги из Гори и Бербукула. Агротехнические опыты были поставлены в Дигомском учхозе по трем вариантам посадки (весна, лето, осень). Испытуемые сорта были исследованы по хозяйственным, техническим и химико-технологическим показателям.

Изучение и сопоставление испытуемых сортов белокочанной капусты показало следующее:

1. Сорт белокочанной капусты Бербукула по сравнению с сортом Брауншвейги из Гори поступает на 12—34 дней позже, в связи с чем срок поступления капусты длится до середины августа.

2. По хозяйственным, техническим и химико-технологическим показателям сорт Бербукула сравнительно с Брауншвейгом из Гори характеризуется значительным преимуществом, дает больше урожая, богат сахарами и витамином С и другими полезными веществами. Следует отметить, что Бербукула во всех вариантах посадки по физико-техническим свойствам больше соответствует требованиям ГОСТа.

3. Исходя из вышеуказанного, сорт белокочанной капусты Бербукула является перспективным сортом, в связи с чем следует рекомендовать на государственное испытание с целью последующего его внедрения в условиях производства.

ლიტერატურა — Литература

1. გ. კვამბაძე. მეზოსტნეობა. თბ., 1968.
2. Биохимия овощных культур. М., 1961.
3. А. Ф. Фан-Июнг и др. Технология консервирования плодов и овощей. М., 1966.
4. С. Г. Ильченко и др. Основы консервирования и техно-химический контроль. М., 1968.
5. В. Г. Сперанский. Товароведение свежих плодов и овощей. М., 1967.



Г. Р. ТАЛАХАДЗЕ, К. В. МИНДЕЛИ

О ВЫСОКОГОРНЫХ ЧЕРНОЗЕМОВИДНЫХ ПОЧВАХ ЮЖНОГО НАГОРЬЯ ГРУЗИИ

Горно-луговые черноземовидные почвы гинсометрически занимают среди горных черноземов Грузии наивысшие отметки (1600—2000 м). В вертикальном ряду означенных почв влияние лугово-степных элементов уменьшается постепенно, снизу вверх. В соответствии с условиями рельефа, экспозиции, гидрологического режима и характера хозяйственного использования местности, указанные почвы характеризуются различной выраженностью дернообразования. В соответствии с этим, означенные почвы на всей территории распространения различаются между собой не только мощностью, но и смыванием, скелетностью и другими признаками.

Горно-луговые черноземовидные почвы имеют на Малом Кавказе довольно большое распространение. Значительные их массивы отмечены на западных склонах Кечутского хребта и в восточной части Южного нагорья — в нижней полосе восточных склонов Кечутского хребта, где граница их распространения постепенно расширяется в направлении с севера на юг.

По Б. А. Клопотовскому [1], границы вертикального распространения этих почв характеризуются амплитудой, которая достигает 1000 м. В восточной части Южного Нагорья горно-луговые черноземовидные дерновые почвы залегают с высоты 1550—1600 м, в западной части с 2000—2100 метров. Верхняя граница их распространения достигает 2400 и более метров.

Эти почвы характеризуются рядом своеобразных признаков, сближающих их, с одной стороны — с выщелоченными черноземами, с другой же — с типичными горно-луговыми дерновыми почвами.

Петрографический характер горной породы оказывает большое влияние как на физико-химические, так и физико-механические свойства этих почв, а также на их агрегатный состав.

Почвы, развитые на породах, богатых кальцием и магнием, имеют больше черт, сходных с черноземами, чем те же почвы, сформированные

на кислых породах. На это же обстоятельство указывает и Г. Н. Михайловская [2].

Из приводимой таблицы 1 усматривается, что горно-луговая черноземовидные почвы Южного Нагорья характеризуются значительным механическим составом.

Почвы характеризуются довольно прочным микроагрегатным составом, что хорошо увязывается с обогащенностью их гумусом.

Различная выраженность факторов почвообразования придает этим почвам различный вид как по морфологии, так и химическому составу. Сказанное подтверждается данными таблицы 2. Содержание гумуса в почвах довольно высокое — 8,9%, при равномерном его распределении по вертикальному профилю. Согласно пересчетам, запас гумуса на 1 гектар в 80 см слое почв равен 630 тоннам.

Таблица 1

Данные микроагрегатного (в числителе) и механического (в знаменателе) анализа с обработкой $\text{Na}_2\text{P}_2\text{O}_7$ (методом шпешетки) в %

№ разр.	Местонахождение разреза	Глубина в см	Гигроскопическая влажность в %	Механический состав в %						
				1-0,25 мм	0,25-0,05 мм	0,05-0,01 мм	0,01-0,005 мм	0,005-0,001 мм	<0,001 мм	<0,01 мм
71	Горно-луговая черноземовидная почва (с. Ашкала, Н. 1620 м.)	0-10	810	45,12	30,56	14,80	4,72	3,85	0,95	9,52
				1,30	0,10	16,08	9,65	22,45	47,92	82,02
		20-30	7,80	41,15	24,85	17,00	5,00	6,12	1,85	13,00
				1,05	1,03	0,95	13,11	16,75	45,35	75,24
		45-55	6,13	38,30	31,30	14,90	5,05	7,50	1,53	15,10
				1,00	7,12	12,03	10,00	22,05	47,60	79,05
		70-80	6,50	—	—	—	—	—	—	—
				8,20	12,94	10,03	10,05	9,30	46,30	65,85

Большое количество гумуса является одним из основных показателей высокого потенциального их плодородия, определяющегося также фосфором и, особенно, азотом. Следует отметить, что большое количество азота характеризует не только верхние, но и нижние слои почвы (45—40 см — 0,337%). Столь большое количество азота связано, конечно, с высоким содержанием гумуса, но наряду с этим значительную роль, очевидно, играют и клубеньковые бактерии (из геоботанических исследований известно [3] широкое участие в растительном покрове этих почв бобовых, в частности, клевера).

При достаточно большом количестве общего фосфора наблюдается тенденция к его увеличению в верхних слоях. По аналогии с результатами анализа фосфора горных черноземов Армении (Г. С. Давтян), в

Данные анализа гумуса, азота, фосфора CaCO₃ и pH

№ разр.	Почва и местоположение	Глубина в см	Гумус		Азот			P ₂ O ₅		CaCO ₃ в %	H ₂ O	KCl
			%	в г. на га	вал. %	нитраты в мг на 1 кг почвы	C:N	общ. %	усв. в мг на 100г почвы			
71	Горно-луговая черноземовидная с. Ашкала)	0-10	8,92	—	0,520	66,70	9,65	0,240	13,50	нет	6,72	5,70
		20-30	8,10	—	0,455	49,11	10,30	0,210	10,60	—	6,71	5,72
		45-55	6,13	830	0,337	34,13	10,53	0,190	—	—	6,39	5,80
		70-80	3,16	—	—	—	—	0,171	—	—	7,00	—

ხნოვანების მიხედვით სჭარბობს II კლასის კორომები (65,0%); დანარჩენი ხნოვანების კლასების ხვედრი ტყით დაფარულ ფართობში შეადგენს: I კლასისა—15,0%, III—14,0%, IV—4,4% და V კი მხოლოდ 1,6%. ტყით დაფარული ფართობების კორომები დაბალი წარმადობისაა და მიეკუთვნება ბონიტეტის IV და V კლასებს. ისინი ამონაყრითი წარმოსობისაა. ტყით დაფარული ფართობის კორომებზე ძალზე არასახარბიელო მდგომარეობაა სიხშირის მხრივაც: დაბალი სიხშირის (0,3—0,4) კორომების ფართობი შეადგენს 41,0%, საშუალო სიხშირის კორომებისა (0,5—0,7)—50,0%, მაღალი სიხშირისა (0,8—0,9) კი მხოლოდ 9%—მდე. ე. ი. კორომები ყველა ძირითადი მახასიათებლის მიხედვით დაბალფასოვანია, რაც წარსულში მეურნეობის უწყესო წარმომებით არის გამოწვეული.

ჩატარებული კვლევითი მუშაობის შედეგად გამოვლენილი და აღწერილია მერქნიანი მცენარეების შემდეგი დაჯგუფებები: მუხნარ-ჯაგრცხილნარი, მუხნარ-რცხილნარი, ჯაგრცხილნარი, რცხილნარ-ჯაგრცხილნარი, ძეძვიანი, ნატყევეარა მდელო ერთეული ჯაგვკლით.



ჩამოთვლილი დაჯგუფებებიდან ფართობის მიხედვით ღონისძიებებს მუხნარ-ჯაგრცხილნარი, ძეძვიანი, ჯაგრცხილნარი, მუხნარ-ჯაგრცხილნარი.

ყველაზე მცირე ფართობითაა წარმოდგენილი (5,0 ჰა) წიფლიანი მუხნარი კორომები, რომლებიც ზღვის დონიდან 800—900 მ სიმაღლეზე გვხვდებიან.

საკვლევი ობიექტზე გავრცელებულია შემდეგი ტყის ტიპები — Quercetum—Carpinuletum poosum, Quercetum—Carpinuletum mixto—herbosum, Quercetum—Carpinuletum—carpinosum, festucosum, Carpinuletum graminosum, Quercetum—Fagetum Festucosum, Quercetum—Carpinuletum—Fagetum festucosum.

მაშასადამე, საკვლევი ობიექტის ტყის უბნის კორომები ჯიშობრივი შემადგენლობით, წარმოშობით (ამონაყრით), სიხშირით, ზრდის ინტენსივობით, საქონლიანობით და ა. შ. ძალზე დაბალფასოვანი არიან და მოითხოვენ რეკონსტრუქციის ღონისძიებების გატარებას.

კორომების ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია, არსებული ზრდის პირობების გათვალისწინებით, ტყის ძვირფასი ჯიშების შერჩევა ისე, რომ სხვა ჯიშებთან შედარებით უპირატესობა ისევ ქართულ მუხას მიეცეს. რეკონსტრუქციის ღონისძიებების გატარებამ უნდა უზრუნველყოს მუხის თავის უფლებებში აღდგენა.

დაბალფასოვანი ახალგაზრდა ამონაყრითი კორომების გაუმჯობესების რაციონალურ წესად მიაჩნიათ [5] მათი რეკონსტრუქცია სატყეო-საკულტურო მეთოდებით. სახელდობრ, რეკონსტრუქციის დერეფნული და ქვაბურ-ჯგუფური წესებით.

პირველი წესი გამოიყენება 20 წლამდე ხნოვანების კორომებისათვის, რომელთა სიმაღლე 2 მეტრს არ აღემატება.

რეკონსტრუქციის ეს წესი შეიძლება ორი ვარიანტით შესრულდეს: 1. დერეფნების წინასწარი გაწმენდა ხეებისა და ბუჩქებისაგან ხელით ან ბუჩქჭმურელით და ამოძირკვა. დერეფნის სიგანე 3—6 მ. დერეფანში ნიადაგი მუშავდება ტყის ორფრთიანი გუნთით, რომლის მიერ გავლებულ კვლებში ირგვება ან ითესება შერჩეული ჯიშები.

2. დერეფნის გაყვანა ტრაქტორ T—100 აგრეგატით და გუთან-თხრილ-მთხრელით (ЖКА—2М). ერთი გავლით გაიყვანება 2,8—3,2 მ სიგანის დერეფანი და 30—40 სმ სიღრმისა და 90—110 სმ სიგანის კვალი. აგრეგატის მეორედ გავლის შემდეგ დერეფნის სიგანე 6—8 მ-მდე აღწევს. დერეფნებს შორის დაცობა ორივე ვარიანტის შემთხვევაში (დერეფნების შუა ხაზებს შორის დაცობა) არ უნდა აღემატებოდეს 6—12 მეტრს.

როგორც აღინიშნა, კორომთა რეკონსტრუქციისათვის ძირითადად გამოყენებული უნდა იქნეს ქართული მუხა. დარგვით გაშენების შემთხვევაში 1 ჰა-ზე დაირგვება 3 ათასამდე 2—3-წლიანი ნათესარი.

თესვით გაშენების შემთხვევაში კი რკოს თესვა წარმოებს ბუნებრივად. ბუნების რაოდენობა—1 ჰა-ზე 3 ათასი. ბუნდის ზომა—1×1 მ. ყოველ ბუნდაში დაითესება 25—30 ცალი რკო.



დერეფნებში სარეველა ბალახების განვითარების ასაცილებლად, აცილებულია პირველი 2—3 წლის განმავლობაში ყოველწლიურად მარცხენა მარცხელა. ამ მიზნით შეიძლება ჰერბიციდების გამოყენებაც. **ზიზლინოსექს**

შერევის სახით მუხის გარდა, სასურველია, დერეფნებში შეტანილ იქნეს სამხრეთი რუმბების ფერდობთა თხელ ნიადაგებზე ზღვის დონიდან 1000 მ სიმაღლემდე: ფიკვი შავი, კოპიტი, ამორფა, კურდღლის ცოცხა, ნეკერჩხალი ქართული, თელა ქართული, როგორც სამხრეთის, ისე ჩრდილოეთის რუმბების საშუალო სიღრმისა და ღრმა ნიადაგებზე: ფიკვები—ვეიმუტის, შავი და სოსნოვსკის, კოპიტი, ცაცხვი—კავკასიური და წვრილფოთოლა, ამორფა.

ზღვის დონიდან 1000 მ ზემოთ თხელ ნიადაგზე: ფიკვები—შავი, სოსნოვსკის და ვეიმუტის, კოპიტი, საშუალო სიღრმისა და სქელ ნიადაგებზე: ფიკვები—შავი, სოსნოვსკის და ვეიმუტის, კოპიტი, ცაცხვი კავკასიური და წვრილფოთოლა. რეკონსტრუქციით აღწერილი ორი ვარიანტი მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ძეძვიანებსა და ჯავრცხილნარებში.

რეკონსტრუქციის ქვაბურ-ჯგუფური წესი გამოყენებული უნდა იქნეს არათანაბარი სიხშირის კორომებში, სადაც მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება ფანჯრები და მდელოები. სასურველია ჭიშების მაღალხარისხოვანი კორომების მისაღებად ასეთი ჭიშების რგვა ან თესვა წარმოებს ფანჯრებში და მდელოებზე, რისთვისაც ნიადაგი წინასწარ მუშავდება ბაქნებად ზომით თითოეული 2x2 მ, ერთმანეთისაგან 4 მ დაცილებით. ყოველ ბაქანზე ითესება 25—30 რკო ან ირგვება 10—15 მუხის 2-3-წლიანი ნათესარი. შექმნილი ბიოჯგუფი უზრუნველყოფს წაყინებისაგან დაცვას, გამოიცილავს სარეველების განვითარებას.

ფანჯრებისა და მდელოების მცირე რაოდენობის მქონე კორომებში ფანჯრები უნდა შეიქმნას ხელოვნურად.

შერეული მაღალეროიანი კორომების შესაქმნელად გარდა მუხისა თესვით ან დარგვით ვაშენდება სხვა ძვირფასი ჭიშებიც. შერევა შეიძლება მოხდეს ბაქნობრივად ან ფანჯრობრივად.

ფანჯრებში და მდელოებზე ხელოვნური გაშენებით მიღებულ მერქნიანთა ჯგუფებში საბურველის მთლიან შეკვრამდე სარეველებთან ბრძოლის მიზნით ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს 1—2-ჯერადი თოხნა: საბურველის შეკვრის შემდეგ კი წარმოებს ფანჯრებისა და მდელოების თანდათანობით გაფართოება, რაც გულისხმობს მათ ირგვლე 5—10 მ სიგანის რგოლებზე ხეებისა და ბუჩქების მოჭრას. დამუშავებულ ბაქნებზე გრძელდება მუხისა და სხვა შერეული ჭიშების გაშენება. ხელოვნურად შექმნილი ფანჯრების დიამეტრი უნდა იყოს არსებული ფოთლოვანი ტყის ორმაგი საშუალო სიმაღლის ტოლი.

როგორც ბუნებრივ, ისე ხელოვნურად შექმნილ ფანჯრებში დამუშავებულ 2x2 მ ზომის ბაქნებზე კულტურები უნდა გაშენდეს ბიოჯგუფებად (ბაქანზე 2-3-წლიანი 10 ნათესარი) ან დიდი ზომის ნერგებით (ბაქანზე 1 ნერგი).

მუხის ამონაყრითი კორომების გაუმჯობესების რაციონალურ ღონისძიებად ითვლება მოვლითი ჰრის მოლჩანოვის დერეფნული წესი.



როგორც ცნობილია [2] (ე. ნესტენოვი, 1954) ამ წესით დერეფნის სიმახვიდ მიღებულია 0,5—1,5 მ. დერეფნებს შორის მანძილი (მოუჭრელი კულისების სიგანე)—3—4 მ (ფერდობის დახრილობის მიხედვით). დერეფნებში ჩატარებული ხე და ბუჩქი, ვარდა მუხნისა და სხვა მისი თანამგზავრი ძვირფასი ხეების (იფანი, პანტა, მაქალო, თელა) სწორლეროიანი ეგზემპლარებისა. ასეთი ეგზემპლარების რაოდენობის სიმცირის უბუნებზე საჭიროა დანაკლისის დარგვით ან შეთვისებით შევსება.

იმისათვის, რომ დერეფნებში ძვირფასი ჯიშების მოზარდი მოუჭრელი კულისებიდან და დერეფნებში არსებული ამონაყრით არ დაიწარდილოს, ყოველ 3—4 წელში ერთხელ უნდა ჩატარდეს დერეფნების გაწმენდა დამწარდილავი ეგზემპლარებისაგან (მათი მთლიანი მოჭრით ან ტოტების ასხებით), სანამ დამწარდილის საფრთხე არ მოიხსნება. მუხის კორომებში, რომელთა სიხშირე 0,7 დაბალი არ არის, მეურნეობამ უნდა აწარმოოს მოვლითი ჭრის ცნობილი სახეები: გაწმენდა (10—20 წლის კორომებში), გამოხშირვა (ლატნარ კორომებში) და გავლითი ჭრა (მუხანოვან და მომწიფარ ისეთ კორომებში, რომლებშიც შერეულია გამრეცი ჯიშები: რცხილა, ჯაგრცხილა, ნეკერჩხალი, თრიმლი, პანტა, მაქალო და სხვ.). წმინდა კორომებში მუხის საწყლუ ყლორტების გამოღების თავიდან აცილების მიზნით გავლითი ჭრის ჩატარებას არ ურჩევენ [2].

მოვლითი ჭრის ჩამოთვლილი სახეებისათვის გამოიყენება მაღლითი წესი (ფრანგული), რომელიც მიზნად ისახავს სწორლეროიან უროკო ხეების აღზრდას.

წიფლიან კორომებში (ვაყეებსა და 10—15° დახრილობის ფერდობებზე) მეურნეობამ მიზნად უნდა დაისახოს ამონაყრითი კორომების თესლითში გადაყვანა და მათში წიფლის შერევის კოფიციენტის გადიდება. ასეთი კორომები მეურნეობაში მცირე ფართობზეა (5,0 ჰა).

იმისათვის, რომ მთავარი სარგებლობის ჭრის ასაკისათვის კორომები მომზადებული იყოს, რათა სათანადოდ შერჩეული ჭრის წესის ჩატარებით უზრუნველყოფილი იქნეს წიფლის კარგი ბუნებრივი განახლება. მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს მოვლითი ჭრების დანური წეის გამოყენება. კორომების რეკონსტრუქციისა და მოვლითი ჭრების ჩატარების სამუშაოთა დანახარჯებისა და შრომადღეების შემცირებისათვის აუცილებელია მექანიზაციის მაქსიმალური გამოყენება.

საკვლევ ობიექტზე უტყეო ფართობების საერთო ჯამი შეადგენს 64,4 ჰა. ისინი განლაგებულია და წარმოდგენილია სხვადასხვა დაქანებისა და ექსპოზიციის ფერდობების სახით. უტყეო ფართობები მდებარეობენ 725 მეტრიდან 950 მეტრამდე. ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით ტყის ხელოვნური აღდგენა შეიძლება განხორციელდეს მათზე ტყის კულტურების (2-წლიანი სტანდარტული სარგავი მასალა) წარმოებით. აღნიშნულ ფართობებზე ტყის კულტურების გაშენებისას, ეროზაული პროცესებისაგან მათი დაცვის მიზნით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის დამუშავების სახეს, რაც დამოკიდებულია ფერდობის დაქანების სიმკვეთრეზე. ფერდობები, რომელთა დაქანება არ აღემატება 5°. შეიძლება დამუშავდეს მთლიანად, 6—12° დაქანების ფერდობები უნდა დამუშავდეს ზოლებად და ბაქნებად, ხოლო 13—40° ფერდობები—ტე-



რასებად. ყველა შემთხვევაში ნიადაგის დამუშავება უნდა ჩატარდეს კორპორაციის მონიტორინგის გასწვრივ.

საკვლევ ობიექტზე ფერდობის დაქანებისა და ზღვის დონიდან მანძილის მიხედვით მიზანშეწონილია გაშენდეს ტყის კულტურები შემდეგი ჯიშებისაგან:

- I. 700—900 მ-მდე ზღვის დონიდან:
 - ა) 20°-მდე დაქანების სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ექსპოზიციის ფერდობებზე, დიდი და საშუალო სისქის ნიადაგებზე: ქართული მუხა, შავი ფიჭვი, იფანი, თრიმლი.
 - ბ) 16-დან 25°-მდე დაქანების სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ექსპოზიციის ფერდობებზე (საშუალო და მცირე სისქის ნიადაგებზე): ქართული მუხა, ვეიშტრასა და შავი ფიჭვი.

II. 900—950 მ-მდე ზღვის დონიდან:

- ა) 25—35°-მდე დაქანების სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობების მცირე სისქის ნიადაგებზე: სოსნოვსკის ფიჭვი.

საკვლევი ობიექტის უტყეო ფერდობებზე შეიძლება გაშენდეს ნარგაობა შემდეგი სქემით:

1) ხებუჩქოვანი ტიპი — მუხისა და თრიმლის შერევით:
 მ—თრ—მ—თრ—მ—თრ

მ—თრ—მ—თრ—მ

2) ხეჩრდილოვანი ტიპი — მუხისა და რცხილის შერევით:
 მ—მ—მ—მ

რც—რც—რც—რც

- 3) შერევა ზოლებით
- ა) 3 მუხა—2 იფანი
 - ბ) 2 მუხა—2 იფანი
 - გ) 4 მუხა—3 იფანი—3 ფიჭვი

აგრეთვე მუხის წმინდა კულტურები.

წყლის ზედაპირული ჩამონადენის რეგულირებისა და საერთოდ, ეროზიის საწინააღმდეგო უნარის გაძლიერების მიზნით, მცენარეთა დარგვა, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს ფართობზე მცენარეთა ქაღარაკული განლაგებით.

აღნიშნული ტყის მასივის რეკონსტრუქციის ღონისძიებათა ეკონომიური ეფექტი შეადგენს 285,5 ათას მანეთს.

П. А. МЕТРЕВЕЛИ, В. Ф. ДАРАХВЕЛИДЗЕ, А. Г. БЕРОЗАШВИЛИ,
 Н. А. МИКЕЛАДЗЕ, Е. А. ХАЧИДЗЕ, Р. Д. РУХАДЗЕ

БИОГЕОЦЕНОЛОГИЧЕСКОЕ ИЗУЧЕНИЕ МУХРАНСКОГО УЧЕБНО-ОПЫТНОГО ХОЗЯЙСТВА И ВЫРАБОТКА МЕРОПРИЯТИЙ ПО ЕГО РЕКОНСТРУКЦИИ

Резюме

Леса Мухранского учхоза Груз. СХИ образованы из бывших дубовых (*Q. iberica stev.*) древостоев, которые сейчас представлены из малощенных древесных пород (граб, грабинник, держи-дерева и др.). Для



улучшения породного состава, повышения класса товарности и, следовательно, продолжительности этих древостоев рекомендованы два метода: I — коридорный для древостоев порослевого происхождения 2,0 метров и II — Котловинно-групповой, для древостоев неравномерной полноты, в которых в значительном количестве встречаются окна разных величин и лесные дуга.

Запроектировано также проведение рубок ухода в дубовых и дубово-буковых древостоях и облесение безлесных площадей, пожарищ и участков погибших лесных культур.

Восстановление леса запроектировано путем закладки новых лесных культур в соответствии с условиями местопроизрастания:

I. Чистые культуры из дуба грузинского, сосны Сосновского и акации белой. II. Смешанные культуры: дуб и сосна, дуб и ясень, дуб и граб, дуб и скумния.

Подготовка почвы, предусмотрено с учетом уклона склонов, проектируется:

- I. Сплошная обработка до 0—5° уклона.
- II. Частичная обработка полосами от 6—12°.

III. Обработка почвы террасированием — ширина террас 3,5 м, а общая протяженность террас на 1 га — 1500 м.

Установлено количество требуемого посадочного материала для облесения безлесных площадей Мухранского лесного массива.

Экономический эффект означенных реконструктивных мероприятий по улучшению биогеоценозов лесов учебного хозяйства составляет 285,5 тыс. рублей.

ლიტერატურა — Литература

1. ი. ვაჩეჩილაძე. მუხრანი, კლიმატური მიმოხილვა. საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოამბე, I, 1938.
2. ვ. გულიაშვილი. ზოგადი მეთევევობა, თბ., 1975.
3. ბ. კეცხოველი. საქართველოს მცენარეული საფარი. თბ., 1960.
4. ლ. მარუაშვილი. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თბ., 1964.
5. В. В. Огневский, Н. Н. Родин и И. И. Рубцов. Лесные культуры и лесная мелкорация. М., 1974.
6. А. Г. Долуханов. Тивологический очерк горных лесов из грузинского и восточного дуба. Тр. Тб. бот. инст., т. 18, 1955.
7. И. И. Хайбеков. Лесные культуры на горных склонах. М., 1972.
8. Справочник лесничего. М., 1973.





ბ. თარგამაძე

შაგვის სატყეო მეურნეობაში ტყის ფონდის მიწაზე სარგებლობის პალიმფის ზოგნირტი სკითხი

გაგრის სკტყეო მეურნეობის ტყეები მიეკუთვნება პირველ ჯგუფს და მათგან გამოყოფილია შემდეგი კატეგორიის ტყეები:

კატეგორიები	ფართობი	%
1. საეუროტო	12962	19,00
2. დაციით-საქსაბლეტაციო	54049	79,87
3. მღნხარის ნაპირების აკრძალული ზოლები	1117	1,03
4. გზის დაციით ზოლები	102	0,10
სულ:	68230	100

1963—64 წლებში ჩატარებული ტყეთმონყობის შედეგად სკტყეო მეურნეობაში შექმნილია შემდეგი სამეურნეო ნაწილები: დაციით-საქსაბლეტაციო, აკრძალულ-დაციით და საეუროტო.

გაგრის სკტყეო მეურნეობაში შემავალი სამეურნეო ნაწილების ფართობები მიწის კატეგორიების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: საერთო ფართობიდან ტყით დაფარულია 63 241 ჰა ანუ 92,68%, ხოლო ტყით დაუფარავია 1 575 ჰა ანუ 2,30%. არასკტყეო ფართობი შეადგენს 3 294 ჰა-ს, ანუ საერთო ფართობის 4,85%/ს. სამეურნეო ნაწილების მიხედვით ეს მონაცემები სხვადასხვა სიდიდეებით არის წარმოდგენილი. ტყის ფონდის მიწების მწარმოებლობისა და პროდუქტიულობის შესწავლის მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს ტყით დაფარული ფართობების განაწილებას ბონიტეტის კლასების მიხედვით. მეურნეობაში პირველი ბონიტეტის კორომებს უკავია 17 716 ჰა ანუ 28,1%, მეორე ბონიტეტის ტყეებს უჭირავს 19 681 ჰა (30,6%), მესამე ბონიტეტის—14 655 ჰა (21,6%), მეოთხე ბონიტეტის—10 361 ჰა (16,1%), ხოლო მეხუთე ბონიტეტის—2 603 ჰა (3,6%).

ამრიგად, მეურნეობაში მაღალი წარმადობის კორომებს (I—II—III ბონიტეტის) მეტი ფართობი უკავია (80,3%), ვიდრე დაბალი (IV—V) ბონიტეტის კორომებს (19,7%). სკტყეო მეურნეობის ტერიტორიაზე ყველაზე მეტად გავრ-

ველებულია წიფლის—41,5%, სოკის—26,1%, მუხის—9,6%, რცხელის—4,4% კორომები.

ტყეების ეკონომიური შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტყის სიხშირეს. მთავარიან პირობებში ტყის სიხშირეზე დამხმარე მარტო ტყისაგან პირდაპირი სარგებლობის სიდიდე, არამედ არაპირდაპირი და დამხმარე სარგებლობის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები. ტყით დაფარული ფართობის განაწილება სიხშირეების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: მთელი ფართობიდან 0,3 სიხშირის კორომებს უჭირავს 1083 ჰა ანუ 1,5%, 0,4 სიხშირის—5501 ჰა (8,5%), 0,5 სიხშირის—15062 ჰა (23,3%), 0,6 სიხშირის კორომებს უკავია 22227 ჰა (34,5%), 0,7 სიხშირის—16355 ჰა (31,4%), 0,8 სიხშირის—297 ჰა (0,2%), 0,9 სიხშირის კორომებს უჭირავს 159 ჰა (0,2%), 1,0 სიხშირის კორომებს—137 ჰა (0,2%), 1,2 სიხშირის კორომებს უკავია 6,2 ჰა (0,1%).

ყველაზე დიდი ფართობი უკავია 0,5—0,6 სიხშირის კორომებს. მათი ხვედრითი წილი ტყით დაფარულ ფართობში შეადგენს 57,8%-ს. სატყეო მეურნეობაში კორომების საშუალო სიხშირე 0,6 შეადგენს და საშუალო შემატება 1 ჰა-ზე 2,3 მ³ უდრის. აღნიშნული შემატება ვაგრის სატყეო მეურნეობის ტყეებისათვის მცირეა.

ვაგრის სატყეო მეურნეობაში ტყის მასივების დიდი ნაწილი (78%) წარმოდგენილია მწიფე და გადაბერებული კორომებით, მომწიფარ კორომთა ფართობი შეადგენს 6%-ს, ახალგაზრდა და შუახნოვან კორომთა ფართობი 16%-ს. მწიფე და გადაბერებული კორომების სიჭარბის მიზეზს წარმოადგენს: ერთი მხრივ, ტყეთმომწყობაში დამკვიდრებული ნაირხნოვან კორომებში ხნოვანების თაობათა განსაზღვრის არასრულყოფილი მეთოდი, მეორე მხრივ კი, ტყის ექსპლუატაციის თვალსაზრისით, ძალზე რთული რელიეფი, ძნელად ასათვისებელ ფართობებზე გზების მშენებლობის სიძვირე და ვაგრის სატყეო მეურნეობის ტყეების განსაკუთრებული დანიშნულება.

ვაგრის სატყეო მეურნეობის ტყის მასივებს რაიონის ეკონომიკაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ. ისინი იძლევიან მრავალნაირ სარგებლობას, რომელიც შეიძლება პირობით დაიყოს სამ ჯგუფად:

I ჯგუფს მიეკუთვნება ტყისაგან პირდაპირი სარგებლობა, ანუ მერქნით სარგებლობა:

II ჯგუფს მიეკუთვნება ტყისაგან დამხმარე სარგებლობა, როგორცაა ტყეში გავრცელებული გარეული ხილისა და სოკოს შეგროვება, თივის დამზადება, საჭონლის ძოვება, ფუტკრის მოშენება, სამკურნალო მცენარეულობის დამზადება, გარეულ ცხოველებზე და ფრინველებზე ნადირობა, ტოტებისა და ფოთლების ნარჩენებისაგან ცხოველებისათვის კომბინირებული საკვების დამზადება, ტყის ფონდის მიწების სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის გამოყენება და სხვ.

III ჯგუფს მიეკუთვნება ტყით არაპირდაპირი სარგებლობა, კერძოდ, გარემო ფაქტორებზე ტყის ხელსაყრელი ზემოქმედებით მიღებული სარგებლობა.



სახელდობრ: ტყის ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი, კლიმატომარეგულირებელი, სანჰიგიენური და ესთეტიკური მნიშვნელობა.

გაგრის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ტყეების ძვირფას მცენარეულ ნივთიერება, მათი გეოგრაფიული მდებარეობა, შავი ზღვის სანაპიროს საუკეთესო კლიმატური პირობები, ბუნების ძვირფასი ძეგლები, ლამაზი პეიზაჟები და ლანდშაფტები ამ რაიონში ქმნის ადამიანთა დასვენებისა და მკურნალობისათვის საუკეთესო პირობებს.

გაგრის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე, სწორად რაციონალური მეურნეობის პირობებში, შესაძლებელია ერთდროულად მივიღოთ ზემოთ აღნიშნული სამივე ჯგუფის სარგებლობა. ტყის ფონდის მიწებზე არსებული ყველა სახის რესურსების მაქსიმალური გამოყენებით სატყეო მეურნეობის მუშაებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაზარდონ ტყის მეურნეობის როლი რაიონისა და რესპუბლიკის ეკონომიკაში. ტყის მეურნეობაში ყოველი სამეურნეო ნაწილის ფართობი, სასარგებლო რესურსების წარმოდგენილობისა და პროდუქტიულობის დონის მიხედვით, ჩვენ მიერ დიფერენცირებული ოქნა ეკონომიკურ კატეგორიებად.

პირველ ეკონომიკურ კატეგორიას მიეკუთვნება სამეურნეო ნაწილის ის ფართობი, რომელიც მაქსიმალურად აკმაყოფილებს ამ ჯგუფს ტყეებისადმი ანუ სამეურნეო ნაწილისადმი სახალხო მეურნეობის გეგმით დადგენილ მოთხოვნილებას. კერძოდ, დაცვითი-აექსპლუატაციო სამეურნეო ნაწილის ტყის მასივები, რომელთა სიხშირე 0,8-ზე მეტია, კორომები წარმოდგენილია I—II ბონიტეტით, 3ა-ზე საშუალო შემატება შეადგენს 5—6 მ³ და მეტს, ხასიათდება I სასაქონლო კლასით, მთელ ფართობზე ტყეები განლაგებულია თანაბრად და ეს ტყეები ხასიათდება მაღალი საექსპლუატაციო მერქნის მარაგებით და ამავდროს მაქსიმალურად ასრულებენ დაცვით ფუნქციებს.

მეორე ეკონომიკურ კატეგორიას მიეკუთვნეთ ისეთი ფართობები, რომლებიც კარგად აკმაყოფილებენ ამ სამეურნეო ნაწილის ტყეებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ტყის სიხშირეა 0,7—0,8 ბონიტეტი I—II, ეკუთვნის I—II სასაქონლო კლასს, ხოლო შემატება 3ა-ზე შეადგენს 3—5 მ³-ს, ტყეები თანაბრად არის განაწილებული მთელ ფართობზე და კარგად ასრულებენ დაცვით ფუნქციებს.

მესამე ეკონომიკურ კატეგორიაში შეტანილი ოქნა სამეურნეო ნაწილის ის ფართობი, რომლის სიხშირე 0,6—0,5 შეადგენს. ამ ფართობზე, კარგი განახლების პირობებში, ტყის დაცვითი ფუნქცია დამაკმაყოფილებელია და შემატების ფარგლებში წარმოებს მერქნით სარგებლობა.

მეოთხე ეკონომიკურ კატეგორიაში შევიდა სამეურნეო ნაწილის ის ფართობები, რომლებიც მცირე ოდენობით აკმაყოფილებენ ამ ჯგუფისათვის წაყენებულ მოთხოვნილებებს, ტყის მცენარეულობა წარმოდგენილია დაბალი სიხშირის ტყეებით და მეჩხერებით. ამ ფართობებზე მცენარეულთა საფარი ცუდად ასრულებს დაცვით ფუნქციებს, ხოლო ტყესარგებლობა, როგორც წესი, არ წარმოებს.

მეხუთე ეკონომიკურ კატეგორიას მიეკუთვნება სამეურნეო ნაწილის ის ფართობები, რომლებიც არსებულ მდგომარეობაში სრულიად არ იძლევიან ამ სა-

მეურნეო ნაწილისათვის დადგენილ სარგებლობას. ასეთი ფართობები, ბუჩქნარი, კლდეები, ველობები, ჭაობები და სხვა გამოუყენებელი ადგილები. ზემოთ აღნიშნული პრინციპის საფუძველზე გაგარის სატყეო კატეგორიები სამეურნეო ნაწილების კვარტალების ფართობები დიფერენციალურად (ცხრ. 1).

ცხრილი 1

გაგარის სატყეო მეურნეობის საერთო ფართობის დანაწილება ეკონომიკურ კატეგორიებად

სატყეობისა და სამეურნეო ნაწილების დასახელება	სატყეოს საერთო ფართობი	ეკონომიკური კატეგორიები ჰა-ში				
		I	II	III	IV	V
1	2	3	4	5	6	7
I. საკურორტო-სამეურნეო ნაწილი:						
1. ძველი გაგარის ს უ ლ მათ შორის: ახლო ზონის სამეურნეო ნაწილი	6736	843,5	4745,1	1492,9	246,9	106,6
შორეული ზონის სამეურნეო ნაწილი	3273	516,5	1795,2	788,6	162,7	10
2. ახალი გაგარის ს უ ლ მათ შორის: ახლო ზონის სამეურნეო ნაწილი	3465	327,0	2252,9	704,3	84,2	96,6
შორეული ზონის სამეურნეო ნაწილი	6226,8	2213,3	3216,4	384,8	363,5	48,8
სულ საკურორტო სამეურნეო ნაწილი	4312,3	1166,7	2599,9	274,8	222,9	47,7
სულ საკურორტო სამეურნეო ნაწილი	1914	1046,6	616,5	110	140,6	0,3
სულ საკურორტო სამეურნეო ნაწილი %-ობით	12964,8	3056,8	7264,5	1877,7	610,4	155,4
	100	23,58	56,45	13,71	4,85	1,41
II. დაცვითი-საექსპლუატაციო სამეურნეო ნაწილი:						
მათ შორის:						
3. აიბუჯის	11428	637	6547,3	2228,2	1375,1	340,4
4. ლესლიპის	6259,5	21	4814,4	1170,3	227,8	25,8
5. ვახთაღის	9978	238,5	5435,1	3584	314,1	406,3
6. წერჭების ველის	11473	1469,3	5147,8	2693,9	1674,	487,2
7. კუჩხა-იაშტის	10201	587,1	7420,2	1435,2	342,9	415,6
8. ბზიფის	5929	322,9	3873,5	970,3	450,8	311,2
სულ დაცვითი-საექსპლუატაციო სამეურნეო ნაწილი	55268	3275,8	33538,6	12082,1	4385,0	1986,5
სამეურნეო ნაწილი %-ობით	100	5,92	60,51	21,80	7,92	33,75
სულ სატყეომეურნეობაში:	68232,8	6332,6	43803,1	13959,8	4995,4	2141,9
%-ობით	100	9,28	58,34	20,44	7,54	4,4

გაგარის სატყეო მეურნეობის საერთო ფართობის დანაწილება ეკონომიკურ კატეგორიებად და ცალკეული ეკონომიკური კატეგორიის მიწების ზვედრითი წილი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია მეურნეობაში სასარგებლო რესურსების მწარმოებლობა და პროდუქტიულობა. მოტანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ მეურნეობის საერთო ფართობიდან მიწების მხოლოდ 9,3%-ს შეუძლია მოგვეცეს სახალხო მეურნეობის გეგმით დადგენილი სარგებლობის მაქსიმალური სიდიდე, ხოლო მიწების 12%-ზე მეტი ან სრულიად არ იძლევა, ან ძალზე მცირე სარგებლობას იძლევა.



გაგრის სატყეო მეურნეობაში ყოველ ეკონომიკურ კატეგორიაში შემავალი ტყის ფონდის მიწების დასაშვები და ფაქტიური სარგებლობის დონის შესწავლის მიზნით, ჩვენ მიერ აღებული იქნა სანიმუშო ფართობები, სარგებლობის სახეების (პირდაპირი, დამხმარე და არაპირდაპირი) მიხედვით. იქნა სასარგებლო რესურსების ოდენობა. სასარგებლო რესურსების საერთო ოდენობებიდან გაანგარიშებული იქნა ყოველწლიურად შესაძლებელი ანუ დასაშვები სარგებლობა. ის შედარებული იქნა უკანასკნელ წლებში ფაქტიურად მიღებულ სარგებლობასთან და დადგენილი იქნა სასარგებლო რესურსების ათვისების მდგომარეობა კოეფიციენტების სახით.

ამ გამოკვლევებით დადგენილი იქნა შემდეგი:

1. ტყისაგან პირდაპირი სარგებლობის დარგში. გაგრის სატყეო მეურნეობაში წინა წლებში ადგილი ჰქონდა ტყისაგან პირდაპირი სარგებლობის წესების უხეშ დარღვევებს. მეურნეობაში უკრებოდა მერქნის გაცილებით მეტი ოდენობა, ვიდრე ეს წლიური საანგარიშო ტყეაფით იყო დადგენილი. მაგ., 1967 წელს გაგრის სატყეო მეურნეობაში მთავარი სარგებლობის ჭრებით დამზადებული იყო 39,3%-ით მეტი მერქანი, ვიდრე ეს იყო დადგენილი წლიური საანგარიშო ტყეაფით. 1968 წელს კი 31,9%-ით მეტი. გადაჭარბებული ტყესარგებლობა იწვევდა ჰრავავილ ფართობებზე სიხშირის დაცემას, ტყის მწარმოებლობისა და პროდუქტიულობის შემცირებას და ამ ტყეების დაკვითი და სხვა სასარგებლო ფუნქციების დაქვეითებას. თუ მთავარი სარგებლობის ჭრები გადამეტებით ტარდებოდა, სანიტარული და მოვლითი ჭრები ძალზე მცირე მასშტაბით წარმოებდა. ამ ბოლო წლებში გაგრის სატყეო მეურნეობაში ეს არანორმალური მდგომარეობა ძირითადად გამოსწორდა.

2. ტყისაგან დამხმარე სარგებლობის დარგში. გაგრის სატყეო მეურნეობაში ტყის ფონდის მიწებზე შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი სახის დამხმარე სარგებლობა: გარეული ხილისა და საჭმელი სოკოს შეგროვება, ტყის ჭიშების თესვების დამზადება, თივის დამზადება, საჭონლის ძოვება, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, სპორტული და სამრეწველო მონადირეობა გარეულ ფრინველსა და ნადირზე, დამხმარე სოფლის მეურნეობა, სამკურნალო და ტექნიკური მცენარეების დამზადება და სხვ. სატყეო მეურნეობების საანგარიშო მონაცემებით ირკვევა, რომ მეურნეობაში თითქმის არც ერთი სახე დამხმარე სარგებლობისა არ არის სათანადოდ ორგანიზებული. აღნიშნულის გამო, სატყეო მეურნეობაში აღნიშნული სარგებლობიდან მიღებული შემოსავალი ძალზე უმნიშვნელოა. ეს იმ დროს, როდესაც სატყეო მეურნეობაში დამხმარე სარგებლობის რესურსები მნიშვნელოვანი მარაგებით არის წარმოდგენილი. ასე, მაგალითად, ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ გარეული ხილიდან ყოველწლიურად შეიძლება დამზადდეს ასკილი 10 ტ, პანტა და მავალი 15 ტ, მოცვი 26 ტ, წყავი 28 ტ და სხვ.

3. ტყისაგან არაპირდაპირი სარგებლობის დარგში. გაგრის სატყეო მეურნეობის ტყეების გეოგრაფიულმა განლაგებამ განაპირობა მათი დიდი საკურორტო, ნიადაგდაცვითი, წყალშენახვითი, კლიმატომარეგულირებელი, სანჰიგიენუ-



რი და ესთეტიკური მნიშვნელობა და ამიტომ ის მიკუთვნებულია განსაკუთრებული დანიშნულების პირველი ჯგუფის ტყეებზე.

გაგრის სატყეო მეურნეობის ტყეების არაპირდაპირი სარგებლობის საკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ტყეების ნიადაგდაცვით და კლიმატომარეგულირებელ თვისებების გამოყენებას. საერთოდ აღიარებულია, რომ მთის ტყეები ამ თვისებებით ფასდაუღებელ სარგებლობას აძლევენ საზოგადოებას.

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევა და მის საფუძველზე წარმოებულ ტყის ფონდის მიწების დიფერენცირება სარგებლობის დონის მიხედვით ეკონომიკურ კატეგორიებად, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სატყეო მეურნეობაში საკურორტო კატეგორიაზე მიკუთვნებული 12 962 ჰა ტყეებიდან, მხოლოდ ფართობის 23,6% აკმაყოფილებს მაქსიმალურად ამ ტყეებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. დანარჩენი ტყეები კი შედარებით მცირედ ან სრულიად არ იძლევიან სარგებლობას.

უფრო ცუდი მდგომარეობაა დაცვითი-საექსპლუატაციო კატეგორიის ტყეებში. მათი ფართობი სატყეო მეურნეობაში განისაზღვრება 55 268 ჰა-ით, აქედან მხოლოდ 5,9%-ს შეუძლია მაქსიმალურად დააკმაყოფილოს ამ კატეგორიის ტყეებისათვის დადგენილი სარგებლობა, ფართობის 13,5% კი არსებულ მდგომარეობაში არავითარ სარგებლობას არ იძლევა, მიწების 7,9%-ს შეუძლია მისცეს სახალხო მეურნეობას ძალზე მცირე სარგებლობა.

შემუშავებული კომპლექსური ხასიათის ღონისძიებებისა და რეკომენდაციების განხორციელების შედეგად მკვეთრად გაიზარდა გაგრის სატყეო მეურნეობაში ტყეების მწარმოებლობა, პროდუქტიულობა და სარგებლობის დონე.

К. М. ТАРГАМАЗЕ

ВОПРОСЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ПОЛЕЗНЫХ РЕСУРСОВ НА ЗЕМЛЯХ ЛЕСНОГО ФОНДА В ГАРСКОМ ЛЕСХОЗЕ

Резюме

Одной из задач новой пятилетки, поставленных XXV съездом ВЛКСМ, является осуществление лесохозяйственных мероприятий, обеспечивающих резкое увеличение ежегодного размера пользования с каждого га лесной земли и обеспечение на этих землях расширенного производства всех видов полезностей.

В одном из характерных для лесного хозяйства Грузии, Гарском лесхозе, изучено состояние земель Гослесфонда. Собраны официальные сведения о видах и размерах фактического использования всех видов полезных ресурсов на землях лесхоза и с учетом народнохозяйственного значения горных лесов Грузии, выполняющих водоохранную, почвозащитную, климаторегулирующую, санитарно-гигиеническую, эстетическую функ-

ция, установлены коэффициенты освоения имеющихся полезных ресурсов.

Все земли Гагрского лесхоза отнесены к лесам первой группы. Из этих лесов по основному (главному) народнохозяйственному значению выделены леса следующих категорий: курортные, защитно-эксплуатационные и защитные полосы.

Лесные земли отнесены к той или иной категории, в зависимости от уровня выполняемой функции нами дифференцированы на 5 экономических категорий.

К первой экономической категории отнесены те участки земель той или иной хозяйственной лесхоза, которые максимально удовлетворяют установленные для этих лесов основные виды пользования. Ко второй группе — хорошо удовлетворяющие, к третьей — участки земель удовлетворительно обеспечивающих установленный вид полезностей; к четвертой — те участки земель, которые по своему состоянию минимально удовлетворяют установленный вид пользования, а к пятой — те участки, которые по своему фактическому состоянию не могут дать народному хозяйству никаких полезностей.

Намечены соответствующие мероприятия для перевода земель низкой экономической категории в высшую. В результате осуществления намечаемых нами мероприятий, значительно увеличится размер использования полезностей на землях лесного фонда.



ნ. ბაღაშაძე

ფოსფორის ფორმები დიღმის მშალის შავისფერ ნიადაგებში

დიდ ინტერესს იწვევს მდელის ყავისფერ ნიადაგებზე ფოსფორის მზარდი დოზების გამოყენებით წყალხსნადი და ადვილად ხსნადი ფოსფატების შემცველობის, ფოსფატების მინერალური ფორმებისა და შთანქმის ინტენსივობის საკითხი.

ლიტერატურაში მდელის ყავისფერი ნიადაგების შედგენილობაში საერთო, წყალხსნადი და მოძრავი ფოსფორის შემცველობაზე მეტად მცირე მასალა მოგვეპოვება. ამ ხარვეზის ნაწილობრივი შევსების მიზნით დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში ფოსფორის მზარდი დოზების მოქმედებაზე დაყენებულ მინდვრის ცდაზე, ცდის დაწყებამდე და ყოველწლიურად მოსავლის აღების შემდეგ ძირითადი განოციერებისათვის განკუთვნილი სასუქების შეტანამდე ვიღებდით ნიადაგის ნიმუშებს 0—20 სმ-ის სიღრმეზე და ვსაზღვრავდით საერთო ფოსფორს ლორენციის მეთოდით, მოძრავ ფოსფორს—მაჩიგინის მეთოდით და წყალხსნად ფოსფორს—ვრანგელის მეთოდით.

პირველი ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ფოსფორის მზარდი დოზების შეტანით მნიშვნელოვნად იზრდება როგორც წყალხსნადი, ასევე შესათვისებელი ფოსფორის რაოდენობა. მაგალითად, წყალხსნადი ფოსფორის შემცველობა 100 გ ნიადაგში 0,5 მგ-დან გაიზარდა 2,1 მგ-მდე, ხოლო შესათვისებელი ფოსფორის რაოდენობა 1,5 მგ-დან 5,9 მგ-მდე 100 გ ნიადაგში.

ნიადაგში შეტანილი ხსნადი ფოსფორიანი სასუქები დროთა განმავლობაში გარდაქმნებს განიცდიან, რის საფუძველზეც წარმოქმნიან როგორც მინერალურ, ისე ორგანულ ფოსფატებს.

ნიადაგის ფოსფატების რაოდენობრივი და თვისობრივი შედგენილობის ცოდნას მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, ფოსფორიანი სასუქების შეტანასთან დაკავშირებული ფოსფატების პირველადი და აგრეთვე ახლად წარმოქმნილი ფორმების გამოვლენა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა სასუქების გამოყენების დასაბუთებისა და გაუმჯობესებისათვის, რაც გამოიხატება ფორმის შერჩევაში, დოზების დადგენაში, შეტანის წესებისა და ვადების დაზუსტებაში.



№	ცდის ვარიანტი	ნიმუშების აღების სიღრმე	საერთო P ₂ O ₅ %	წვალბნისა და P ₂ O ₅ მგ 100 გ ნიადაგში	სხნადი P ₂ O ₅ მგ 100 გ ნიადაგში
1	საკონტროლო	0—20 20—40	0,10 0,10	0,50 0,22	1,50 1,01
2	NK ფონი	0—20 0—20	0,12 0,09	0,52 0,75	1,28 2,60
3	N ₆₀ K ₆₀ P ₃₀	20—40 0—20	0,13 0,13	0,30 0,48	1,80 3,59
4	N ₃₀ K ₆₀ P ₆₀	0—20 20—40	0,14 0,11	1,30 0,68	4,62 3,60
5	N ₆₀ K ₆₀ P ₆₀	0—20 20—40	0,14 0,11	1,52 0,90	5,90 3,80
6	N ₆₀ K ₆₀ P ₁₂₀	0—20 20—40	0,14 0,13	2,10 1,20	6,90 4,02
7	N ₆₀ K ₆₀ P ₂₄₀	20—40			

ნიადაგიდან ფოსფატების სხვადასხვა ჯგუფის გამოვლენისათვის ასკინაზო და ხეიფეცი [1] გეთავაზობენ სხვადასხვა მეთოდს, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ეს მეთოდები საშუალებას გვაძლევენ განვსაზღვროთ ნიადაგური ფოსფატების მხოლოდ ცალკეული ჯგუფები და არა მათი ცალკეული ფორმები.

მდელოს ყავისფერ ნიადაგებში ფოსფორის მინერალური ფორმების განსაზღვრისათვის გამოვიყენეთ ჩანვისა და ჟეკსონის მეთოდი, კ. ვინზბურგის მოდიფიკაციით. Ca და Mg მკავე ფოსფატების გამოსაძეველად გამოვიყენეთ 1% (NH₄)₂SO₄+Mo-ის ხსნარი, რომლის PH 4,8 ტოლი იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ Ca—P₁ და Mg ფოსფატები სხვა ფოსფატებთან შედარებით კარგი ხსნადობით ხასიათდებიან.

Ca—P₂ და Mg სხვადასხვაფუძიანი ფოსფატების (დიკალციფოსფატის, ზუნებრივი სამკალციუმიანი ფოსფატების) გამოსაძეველად ნიადაგს უამუშავებდით 0,5n CH₃COOH+Mo-ით, რომლის PH—4,5-ია. ეს ფოსფატები საშუალო ხსნადობით ხასიათდებიან. რაც შეეხება Ca—P₃-ის მალაფუძიან ფოსფატებს (ფოსფორიტი, აპატიტის ტიპის), მათი დამუშავებისათვის ვიყენებდით 0,5n H₂SO₄-ის ხსნარს. უნდა აღვნიშნოთ, რომ კალციუმის მალაფუძიანი ფოსფატები ცუდი ხსნადობით ხასიათდებიან. ალუმინის ფოსფატების გამოსაყოფად გამოვიყენეთ 0,5n ფტორამონიუმის ხსნარი, რომლის დროსაც PH—8,5-ია. რკინის ფოსფატების გამოსაძეველად კი 0,1n NaOH-ი, რომელსაც ვანჭრევდით ერთი საათის განმავლობაში და შემდეგ 24 საათის განმავლობაში ვტოვებდით ხელუხლებლად. ფოსფატების მინერალური ფორმების განსაზღვრის შედეგები. მოტანილია მე-2-ე ცხრილში. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ მდელოს ყავისფერ ნიადაგებში მინერალური ფოსფორი ძირითადად წარმოდგენილია კალციუმის ფოსფატების სახით, მასთან შედარებით მცირეა რკინის ფოსფატების რაოდენობა და კიდევ უფრო ნაკლებია ალუმინის ფოსფატები.



ფოსფატების მინერალური ფორმები (მინდვრის ცდა) მკ 100 გ ნიადაგში

ფოსფატების მინერალური ფორმები

წლები	ნიმუშების აღების სიღრმე	Ca-P ₁	Ca-P ₂	Ca-P ₃	Ca-P ჯამი	Al-P	Fe-P	RPO ₄ ჯამი	მინერალური ფოსფატების ჯამი
		1% (NH ₄) ₂ SO ₄ + Mo PH-4,8	0,5n CH ₃ COOH + Mo PH-4,3	0,5n H ₂ SO ₄		0,5n NH ₄ F PH--8,5	0,1n NaOH		
1967	0--20	9,0	24,0	14,0	47,0	0,25	1,5	1,75	48,75
	20--40	6,5	18,0	12,0	36,5	0,50	1,5	2,0	38,50
1968	0--20	9,5	32,0	16,0	57,5	0,60	1,5	2,1	59,60
	20--40	7,7	22,0	10,0	39,7	0,50	0,5	1,0	40,70
1969	0--20	9,7	40,0	12,0	61,7	0,50	1,5	2,00	63,70
	20--40	8,0	22,0	12,0	42,0	0,60	კვალი	0,60	42,6
1970	0--20	9,0	40,0	22,0	71,0	0,50	2,5	3,00	74,00
	20--40	8,5	32,0	16,0	56,5	1,25	2,5	3,75	60,25

მასთან დაკავშირებით, რომ ხსნადფოსფორიან სასუქებს ნიადაგში შეტანისას უნარი აქვთ გადავიდნენ უხსნად და მცენარისათვის ძნელად შესათვისებელ ფორმაში, ჩვენთვის საინტერესო იყო შეგვესწავლა ფოსფორის იონების შთანთქმის ინტენსივობა ისეთ ნიადაგებში, რომლებიც მოძრავ და წყალხსნად ფოსფორს სხვადასხვა რაოდენობით შეიცავენ. ამ ექსპერიმენტის შედეგები მოცხრილი 3

ნიადაგის მიერ შთანთქმული და ხსნარში აღმოჩენილი P₂O₅ მკ 100 გ ნიადაგში

ნიმუშის №	ნიადაგში ფოსფორის შემცველობა		ხსნარში		შთანთქმული P ₂ O ₅
	აღვილად ხსნადი	წყალხსნადი	დამატებული P ₂ O ₅	აღმოჩენილი P ₂ O ₅	
1	11,8	3,5	50	24,8	25,2
			100	52,8	47,2
			200	117,1	82,9
			300	210,0	90,0
			400	240,7	159,3
			500	282,7	217,3
2	3,59	1,03	50	8,69	41,3
			100	35,20	64,8
			200	86,70	113,3
			300	162,10	137,9
			400	200,00	200,0
			500	206,80	293,2
3	1,78	0,66	50	3,96	46,04
			100	10,18	82,82
			200	25,0	175,0
			300	40,2	259,8
			400	64,4	335,6
			500	84,5	415,5



ტანილია მე-3 ცხრილში. ცხრილიდან ჩანს, რომ PO_4 იონების შთანთქმის ინტენსივობა მოძრავი და წყალხსნადი ფოსფორის სხვადასხვა რაოდენობის შემთხვევაში ნიადაგებში განსხვავებულია. ლარიბი ნიადაგები ადვილად ხსნად ფოსფორი და უფრო ინტენსიურად შთანთქავენ PO_4 იონებს.

მე-3-ე ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ წყალხსნადი და მოძრავი ფოსფორის ზრდა დამოკიდებულია მდელის ყავისფერ ნიადაგებში ფოსფორიანი სასუქების შეტანის შედეგად ნიადაგის კოლოიდების PO_4 იონებით გაჯერებაზე.

ამრიგად, მდელის ყავისფერ ნიადაგებზე ფოსფორიანი სასუქების შეტანის დროს საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ყოველივე ზემოაღნიშნული.

И. М. БАЛАВАДЗЕ

ФОРМЫ ФОСФОРА В ЛУГОВО-КОРИЧНЕВЫХ ПОЧВАХ ДИГОМСКОГО УЧЕБНО-ОПЫТНОГО ХОЗЯЙСТВА


Резюме

Для рационального применения фосфорных удобрений большое значение имеет знание форм фосфора в почве, а также превращения вносимых фосфорнокислых удобрений в почву. Надо отметить, что для лугово-коричневых почв Дигомского учебно-опытного хозяйства формы фосфора, а также процессы превращения в почве фосфорных удобрений почти не изучены. Поэтому мы поставили целью изучить формы фосфора в почве опытного участка.

В наших исследованиях значительное внимание уделялось также вопросу изучения минеральных форм фосфора в почве.

Результаты наблюдения показали, что в лугово-коричневых почвах минеральный фосфор представлен в основном в виде фосфатов кальция. По сравнению с ними, фосфатов железа значительно меньше, а еще меньше фосфатов алюминия.

После внесения в почву растворимых форм фосфорных удобрений в почве происходит их превращение (ретроградия). Интенсивность поглощения фосфат-ионов зависит от многих факторов, но самым важным является свойство почвы. Надо отметить, что интенсивность поглощения ионов PO_4 в лугово-коричневых почвах Дигомского учебно-опытного хозяйства мало изучена. С этой целью нами были взяты почвенные образцы с разным содержанием легкорастворимого фосфора и изучена в них интенсивность поглощения фосфат-ионов. Результаты показали, что ин-



тенсивность поглощения фосфат-ионов в почвах, разнообразных фосфором, неодинакова. Более интенсивно поглощаются ионы F_2O_4 в почвах содержащих меньшее количество легкорастворимого фосфора.

⚙⚙⚙⚙⚙⚙⚙⚙ — Литература

1. Д. Л. Аскинази, Д. М. Хейфец. Фосфаты алюминия и железа, как источник питания для растений. Жри. Почвоведение, № 6, 1969.
 2. Д. Л. Аскинази, К. Е. Гинзбург, Л. С. Лебедева. Минеральные формы фосфора в почве и методы их определения. Жри. Почвоведение, № 5, 1963.
 3. Д. Н. Прянишников. Доступна ли культурным растениям фосфорная кислота фосфатов. Избр. соч. т. I, II, III, 1963.
-



О. А. ЧАРКВИანი, К. Г. САРАДЖИШВИЛИ

**НЕКОТОРЫЕ ФИЗИОЛОГИЧЕСКИЕ ПОКАЗАТЕЛИ ЧЕМЕРИЦЫ ЛОБЕЛЯ
 (*Veratrum lobelianum* Bernh.) В СВЯЗИ С ПРИМЕНЕНИЕМ ГЕРБИЦИДА
 ДИКТЕКС-80**

Одним из злостных сорняков высокогорных лугов и пастбищ в Грузинской ССР считается чемерица.

Чемерица Лобеля — многолетний сорняк, высотой 50—160 см, с достаточно толстым, сочным стеблем и множеством широких и больших листьев. Конкурируя с кормовыми травами за пищевые элементы в почве и свет, чемерица тем самым способствует их угнетению и вызывает сильное снижение продуктивности пастбищ. Вместе с этим, содержит комплекс алкалоидов, нередко вызывает и отравление сельскохозяйственных животных.

Вредоносность и повсеместное распространение чемерицы, весьма актуально ставит вопрос рациональной борьбы с ней.

Химический метод борьбы, который предусматривает использование гербицидов, считается эффективным и весьма перспективным. Но вопрос применения гербицидов в борьбе с чемерицей еще не разработан в соответствии с современными требованиями, тем более, что зональная разработка мероприятий требует учета конкретных условий среды, фитоценологического состава пастбищ и влияния гербицидов на него, а также установления оптимальных сроков и доз применения гербицидов.

Эффективность системных гербицидов во многом зависит от их проникновения в растение, что в свою очередь связано с анатомо-морфологическим строением и со степенью смачиваемости листьев, а также с толщиной их кутикулы. Известно, что у молодых листьев кутикула тоньше, а проникновение и эффективность действия гербицидов на них значительно выше, по сравнению со старыми листьями.

Цель настоящей работы — изучение некоторых физиологических признаков чемерицы Лобеля в связи с эффективностью гербицида диктекс-80, который, по нашим предварительным опытам, оказался более действенным и рентабельным по сравнению с другими гербицидами. После опытов

квивания наблюдения проводились над ростом и развитием чемерицы, а также изучали физиологические признаки: осмотическое давление и концентрацию клеточного сока — плазмолитическим методом, содержание сухого вещества в клеточном соке рефрактометрическим методом [2].

Осмотическое давление (табл. 1) и концентрация клеточного сока в листьях чемерицы, в связи с ростом растения изменяются в значительных пределах. В молодых растениях до начала разворачивания листьев, когда их высота достигает 22-30 см, концентрация и осмотическое давление клеточного сока составляют малую величину соответственно 2,58-5,98% и 1,77-4,23 атм. Однако, вместе с ростом растений увеличиваются как концентрация, так и давление клеточного сока, достигая своего максимума в середине июля соответственно 15,32% и 10,82 атм. В дальнейшем же указанные показатели в наших исследованиях не увеличивались.

Вместе с ростом растения увеличивается также и накопление сухого вещества. Его максимальное количество (18%) отмечено в середине июля. В это время заканчивается рост чемерицы и наблюдается постепенное изменение цвета листьев с последующим их усыханием, что в отмеченных условиях происходит в середине августа.

Испытание дикотекса-80 показало, что при опрыскивании в ранних фазах развития, чемерица сильно повреждается. Как видно из таблицы 2, при малой дозе (1,8 кг/га) применения, опрысканные 7 июля растения

Таблица 1

Сезонная динамика некоторых физиологических признаков в листьях чемерицы

№ п. п.	Дата наблюдений	Температура воздуха во время наблюдений	Высота растений в см	Концентрация клеточного сока в %	Осмотическое давление клеточного сока в атм.	Сухое вещество в клеточном соке в %
1	7 июня	15	10	2,53	1,77	2,7
2	17 июня	20	22	2,53	1,80	4,0
3	22 июня	22	52	5,98	4,23	8,0
4	28 июня	16	75	7,69	5,34	10,0
5	4 июля	20	80	9,40	6,61	11,0
6	10 июля	20	92	11,11	7,82	13,5
7	15 июля	20	95	15,39	10,82	18,0
8	18 июля	19	90	14,58	10,19	17,0
9	20 июля	22	85	12,82	9,08	14,0
10	25 июля	24	91	12,82	9,14	16,0
11	28 июля	22	110	11,11	7,87	12,0

уже на 30-й день, по сравнению с контролем, теряют 51,2% сырой массы, тогда как опрысканные 22 июля теряют только 20,6%. В соответствии с этим, с увеличением дозы растет и эффективность. Следует также отметить, что опрысканные в ранней фазе развития, растения претерпевают значительно большие изменения, сопровождающиеся скручиванием ли-

ство и стеблей с их последующим побурением и усыханием, чем опрысканные в поздние сроки (июль). Вместе с этим на делянках, опрысканных 7 июня, где применялся дикотекс-80 в высокой дозе (7,2 кг/га), все индивиды чемерицы погибали уже через 30—35 дней.

Как подтверждают проведенные исследования, проникновение дикотекса-80 и его дальнейшее передвижение в чемерице более интенсивно протекает в ранний период — в первой половине лета, когда высота растений 22—35 см. С ростом растений и в более поздние сроки — во второй половине лета — проникновение препарата уменьшается и, следовательно, падает его эффективность.

По имеющимся в литературе сведениям [3], проникновение гербицидов, в частности, производных галлоидфеноксикислот в клетки растения происходит диффузией и определяется величиной градиента концентрации гербицида, создающегося между наружной и внутренней поверхностью кутикулы, а преодоление плазмолеммы, в большой мере зависит от притока макроорганических соединений, образующихся при фотосинтетическом фосфорилировании. Вместе с этим, весьма важную роль в проникновении выполняет и толщина кутикулы.

Как показали наши исследования, в проникновении дикотекса-80 в клетки растений немаловажную роль должно играть и тургорное состояние клеток, в частности, осмотическое давление и концентрация кле-

Таблица 2

Эффективность дикотекса-80 против чемерицы по уменьшению веса сырой массы 10 растений

№ п. п.	Сроки и варианты опытов	Доза в кг/га д. н.	На 30-й день после опрыскивания		На 80-й день после опрыскивания	
			в г	% уменьшения	в г	% уменьшения
Опрысканы 7.VI						
1	Контроль	—	1810	—	1590	—
2	Дикотекс-80	1,8	822	51,2	396	62,5
3	"	3,6	803	55,5	343	65,8
4	"	7,2	533	70,2	375	76,4
Опрысканы 22.VI						
1	Контроль	—	2110	—	1620	—
2	"	1,8	1675	20,6	988	38,9
3	"	3,6	1268	39,9	680	58,0
4	"	7,2	913	56,7	468	71,1

точного сока, способствующие на основании градиента концентрации и давления проникновению и, соответственно, повышению эффективности дикотекса-80. Указанная зависимость между осмотическим давлением и

концентрацией клеточного сока и эффективностью действия дикотекса-80 жидна по материалам таблиц 1 и 2.

Таким образом, можно предположить, что вместе с другими факторами (толщина кутикулы и др.), проникновение дикотекса-80 в растительные клетки, по-видимому, способствуют и осмотические свойства клеток.

При опрыскивании в более поздние сроки (5 июля), повреждаемость чемерицы не отмечена, а по сравнению с контролем, существенных различий не было. Что же касается кормовых растений, то они сильно угнетались и даже погибали, находясь в это время в фазе активного роста.

На основании всего вышеизложенного, во-первых, подтверждается, что оптимальный срок применения гербицида в изучаемых условиях следует считать первую декаду июня, когда чемерица находится в фазе — «начало разворачивания листьев»; во-вторых, осмотическое давление клеточного сока чемерицы находится в корреляции с эффективностью гербицида дикотекса-80.

ЛИТЕРАТУРА

1. Н. А. Гусев и Н. В. Седых. Современные методы исследования состояния воды и молекулярных механизмов водообмена растительной клетки. С-х биология, т. 6, № 6, 1971.
2. А. М. Гродзинский и Д. М. Гродзинский. Краткий справочник по физиологии растений. Киев, 1973.
3. Д. И. Чкаников и М. С. Соколов. Гербицидное действие 2,4-Д и других галогенфеноксиацетатов. М., 1973.



ფ. შავაშვიანი

შავანური ღვინომასალის სტაბილიზაცია კრისტალური სიმღვრივის მიმართ მებაღვინომებას გამოუყენებით

ღვინომება მარილების გამოლექვა ამცირებს ღვინის ტიტრულ მჟავიანობას კალიუმისა და კალციუმის მარილების გამოლექვით. ძირითად ფაქტორებს, რომლებიც აპრობებენ ღვინიდან კალიუმის მარილების გამოლექვას ალკოჰოლის კონცენტრაცია, დაბალი ტემპერატურა და აგრეთვე კალიუმისა და წყალბადის იონთა კონცენტრაცია წარმოადგენენ [1,9]. ღვინოების კრისტალური სიმღვრივის თავიდან ასაცილებლად მელვინეობაში დანერგულია ღვინის სიცივით დამუშავება, რაც წარმოებას ძვირი უჯდება.

ღვინომება მარილების გამოლექვა ამცირებს ღვინის ტიტრულ მჟავიანობას ამის გამო ხშირად მიმართავენ შამპანური ღვინომასალების ტიტრული მჟავიანობის ხელოვნურად გაზრდას კონდიციამდე ლიმონმჟავას დამატებით, რაც ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას და აუარესებს მის გემურ თვისებებს.

დღეისათვის ცნობილია მთელი რიგი ნივთიერებანი, რომლებიც ხელს უშლიან ღვინიდან მარილების გამოლექვას. ესენია: დამცველი კოლოიდები [6], ჰექსამეტაფოსფატები [13], დიტარტრილმჟავა [4]. ორგანული მჟავების კონდენსაციის პროდუქტები [8] და მეტაღვინომება [2, 3, 4, 5, 7, 10, 11, 12, 15, 16].

კრისტალური სიმღვრივის მიმართ შამპანური ღვინომასალების სტაბილიზაციის გაზრდის მიზნით, ჩვენ გამოვიყენეთ მეტაღვინომება. მუშაობა ტარდებოდა ოკამის ღვინის ქარხანაში და მელვინეობის კათედრის ენოქიმიის ლაბორატორიაში.

1968 წ. ცდები ჩავატარეთ ლაბორატორიულ პირობებში. პირველ რიგში შესწავლილი იქნა მეტაღვინომებას გავლენა ალკოჰოლური დუღილის მსკვლელობაზე და ღვინომება მარილების გამოლექვის მიმდინარეობაზე. ამ მიზნით ჩინურის ჯიშის ყურძნიდან მიღებული ტკბილია ერთი პარტიიდან თითოეული ვარიანტისათვის აღებული იქნა 20—20 ლ დაწმენდილი ტკბილი, ალკოჰოლური დუღილის დაწყებამდე პირველი ნიმუში დამუშავებული იქნა 75 მგ/ლ, მეორე—100 მგ/ლ, მესამე 150 მგ/ლ მეტაღვინომავით. საკონტროლოდ აღებული იქნა იმავე პარტიის ტკბილი 20 ლ-ის რაოდენობით. სამივე საცდელი ნიმუშის და საკონტროლო ტკბილის ალკოჰოლური დუღილი ჩავატარეთ საფუარის წმინდა კულტურით ავქალა № 2-ით.

ცდების მეორე სერიაში ალკოჰოლური დუღილის დამთავრებისთანავე ლექიდან მოუხსნელი შამპანური ღვინომასალის ერთი პარტიიდან ავიღეთ 20—20 ლ ღვინომასალა. პირველი ნიმუში დავამუშავეთ 75 მგ/ლ, მეორე 150 მგ/ლ მეტაღვინომჟავით.

საკონტროლოდ აღებული იქნა იმავე პარტიის შამპანური ღვინომასალა 20 ლ რაოდენობით.

ცდების მესამე სერიაში შამპანური ღვინომასალის იმავე პარტიიდან ლექიდან მოხსნის შემდეგ ავიღეთ საცდელი ნიმუშები 20—20 ლ-ის რაოდენობით. პირველი ნიმუში დავამუშავეთ 75 მგ/ლ, მეორე 100 მგ/ლ, მესამე 150 მგ/ლ მეტაღვინომჟავით.

ცდების ყოველ სერიას წინ უძღვოდა ტუბილის და ღვინომასალების საცდელი ნიმუშების ქიმიური ანალიზი. ტუბილში განსაზღვრული იქნა: 1. შაქარი—ხვედრითი წონით და სოქსლეტის მეთოდით; 2. ტიტრული მჟავიანობა—აციდომეტრული მეთოდით; 3. ღვინომჟავას საერთო რაოდენობა—მესლინგერის მეთოდით; 4. PH—ელექტრომეტრული მეთოდით.

ღვინომასალებში განსაზღვრული იქნა: 1. ვთილალკოლი—პიკნომეტრული მეთოდით; 2. ტიტრული მჟავიანობა—აციდომეტრული მეთოდით; 3. აქროლადი მჟავები—ოფიციალური მეთოდით; 4. ღვინომჟავას საერთო რაოდენობა—მესლინგერის მეთოდით; 5. შაქარი—სოქსლეტის მეთოდით; 6. ექსტრაქტი—პირდაპირი მეთოდით; 7. რკინა—კოლორიმეტრული მეთოდით; 8. pH—ელექტრომეტრული მეთოდით.

ღვინის საცდელი ნიმუშები მეტაღვინომჟავით დამუშავების შემდეგ ჩამოსხმული იქნა ბოთლებში ვიზუალური დაკვირვებისათვის კრისტალური სიმღვრივის წარმოქმნის თარიღის დასადგენად სხვადასხვა ტემპერატურულ პირობებში.

1969 წ. მეღვინეობის სეზონზე გავითვალისწინეთ რა ლაბორატორიული მასშტაბით ჩატარებული სამუშაოები, ცდები დავაყენეთ ნახევრად საწარმოო პირობებში სამ ვარიანტად. თითოეული ვარიანტი 100 დალ. რაოდენობით დავამუშავეთ 75, 100 და 150 მგ/ლ მეტაღვინომჟავით. სამივე ვარიანტში და საკონტროლოდ აღებული იყო ჩინურის ერთი და იმავე პარტიის შამპანური ღვინომასალები.

ცდის დაყენებას წინ უძღვოდა ტუბილისა და ღვინომასალების ქიმიური ანალიზი.

საცდელი და საკონტროლო ნიმუშებიდან ბოთლებში ჩამოვასხით 10—10 ლ ღვინომასალა ვიზუალური დაკვირვებისათვის 0, 12—14 და 20—22°C.

1970 წ. გრძელდებოდა დაკვირვება 1969 წელში დაზღადებული ღვინის საცდელი ნიმუშების მედევობაზე კრისტალური სიმღვრივის მიმართ. პარალელურად ჩატარებული იქნა გამოკვლევა შამპანურ ღვინომასალებში რკინის შემცველობის გავლენის შესახებ მეტაღვინომჟავას მასტაბილირებელ თვისებებზე.

ამ მიზნით 1970 წ. მოსავლის შამპანურ ღვინომასალას 20 ლ რაოდენობით გავუყეთეთ ქიმიურად ანალიზი და დემეტალიზაციის მიზნით დავამუშავეთ კალიუმის ფეროციანიდით. დემეტალიზებული ღვინომასალა გაყვავით 8 ნაწილად

და თითოეულში შევიტანეთ 0, 2, 4, 7, 10, 12, 15, 18, მგ/ლ რკინა და 100-100 მგ/ლ მეტალვინომეცავა.

ჩამოვასხით ბოთლებში და მოვათავსეთ 0,12 და 20°C ტემპერატურაში. ტემპერატურის მართვების დაკვირვების ჩასატარებლად.

ცდის შედეგები

1968—1969 წლებში მედვინეობის სენონზე საცდელად აღებული ტბილის ქიმიური ანალიზი მოცემულია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

შოსავლის წელი	ჩაქარი %-ობით	ტიტრული მეთილენობა გ/ლ	ლვინომეცავა გ/ლ	pH
1968	17,3	7,8	4,7	3,30
1969	16,9	8,5	5,2	3,28

აღებული ნიმუშები თავიანთი ქიმიური შედეგნობით ნათლად შეესაბამებთან შამპანური ღვინომასალების დასაყენებელ ნედლეულს.

ალკოჰოლური დუდილის მსვლელობაზე მეტალვინომეცავას მაინჰიბირებელი მოქმედების შეაწავლის მიზნით საცდელ და საკონტროლო ნიმუშებში ყოველდღე ვსაზღვრავდით შაქრის, ტიტრული მეთილენობისა და ღვინომეცავას შემცველობებს. მიღებული შედეგები მოტანილია მე-2-ე ცხრილში.

